საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №164
2014 წლის 28 თებერვალი

ქ. თბილისი

სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.

იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 16[1] მუხლის მე-5 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” და „ნ” ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის თანდართული წესი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 მარტიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**

დანართი

სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ეს წესი განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, ასევე, იარაღის ძირითადი ელემენტების რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების (მათ შორის, ჩამოწერის), იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემისა და გაუქმების, იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის, იარაღის ან იარაღის ძირითადი ელემენტის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის გაცემის, იარაღის შენახვის, ტარების, გადატანა-გადაზიდვის, აგრეთვე, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის წესსა და პირობებს.

2. ეს წესი, გარდა მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა, არ ვრცელდება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ გაცემულ სამსახურებრივ-საშტატო იარაღზე.

3. ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს უფლება აქვს მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, საარქივო მასალა), შეიტანოს მონაცემებში ცვლილებები ან შესწორებები, გასცეს (გამოსცეს) ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ან/და

ტექნიკური საშუალებებით ხელმოწერა, ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტებს. დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა, აგრეთვე ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებებით ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

4. იარაღის გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ადმინისტრაციული საქმისწარმოების (შემდგომ – საქმისწარმოება) დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნა ან უფლებამოსილი პირისაგან მიღებული შეტყობინება.

6. სააგენტო უფლებამოსილია უარი განაცხადოს სხვა ქვეყანაში გაცემული დოკუმენტის მიღებაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7. სააგენტო უფლებამოსილია არ მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს საქმის წარმოებისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა ან მიიღოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ელექტრონული სახით, თუ:

ა) სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ საქმისწარმოების მიზნებისათვის გამოყენებული სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მონაცემთა ელექტრონული ბაზები შეიცავს წარმოსადგენ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას;

ბ) წარმოსადგენი დოკუმენტი ელექტრონული ან მატერიალური სახით ინახება სააგენტოში;

გ) დაინტერესებული პირი სააგენტოსათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გზით, უზრუნველყოფს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე ატვირთული, მატერიალურად წარმოსადგენი დოკუმენტის ელექტრონული ეგზემპლარის ან ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის ასლის ხელმისაწვდომობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს არ აქვს მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში მოძიებული ინფორმაციის ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე ატვირთული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის გაკეთების ან ელექტრონული სახით შენახვის ვალდებულება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 2

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) იარაღი – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი და გაზის (აირის) იარაღი, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი;

ბ) ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღი – იარაღი, რომელიც კონსტრუქციულად დამზადებულია ან/და გადაკეთებულია მხოლოდ ხმოვანი (ფუჭი) ვაზნების სასროლად და გამოიყენება თეატრალურ წარმოდგენებში, კინო და სატელევიზიო ჩვენებებში, ისტორიულ რეკონსტრუქციებში, აღლუმებსა და სპორტულ ღონისძიებებში;

გ) კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღი – ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც იმუხტება ლულაში დენთის, ტიზისა და ჭურვის ლულის წინა კვეთიდან განცალკევებულად მოთავსებით და რომელშიც დენთი აღდება კაჟის ქვის, ფითილის ან კაფსულის და ლითონის ხახუნის შედეგად წარმოქმნილი ნაპერწკლით;

დ) იარაღის მესაკუთრე ან მესაკუთრე – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს იარაღის ფლობის, განკარგვისა და იარაღით სარგებლობის უფლება;

ე) ავტორიზებული მესაკუთრე – იარაღის მესაკუთრე, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციის, ავტორიზაციის, იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის და ავტორიზებული პირის მიერ მისთვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 აგვისტოს №84 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად რეგისტრირებულია ავტორიზებულ პირად;

ვ) მოსარგებლე – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-პ[1]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფიზიკური პირი;

ზ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ეროვნული მართვის მოწმობა;

თ) სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;

ი) იარაღის დროებითი მოწმობა – დოკუმენტი, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აძლევს უფლებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაიტანოს:

ი.ა) იარაღი, სააგენტოში ჩამოწერის (ჩაბარების) ან ბალისტიკურ შემოწმებაზე წარდგენის მიზნით ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ჩაბარების/გადაცემის მიზნით, ხოლო ბალისტიკურ შემოწმებაზე წარდგენილი იარაღი – შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით (აღნიშნულ შემთხვევაში, იარაღის დროებითი მოწმობა დაინტერესებულ პირს აძლევს უფლებას, იარაღთან ერთად გადაიტანოს ამ იარაღისთვის განკუთვნილი, ექსპერიმენტული გასროლისათვის საჭირო რაოდენობის ვაზნა);

ი.ბ) იარაღი, შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე მიტანის მიზნით;

ი.გ) იარაღი, შენახვის ადგილიდან დროებით სხვა ადგილზე მიტანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით;

ი.დ) შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღი, სააგენტოში ტექნიკური დათვალიერებისათვის წარდგენის მიზნით;

ი.ე) შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღი, შენახვის ადგილიდან იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან მიტანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით, ასევე, დაურეგისტრირებელი ან დარეგისტრირებული იარაღის დამზადების ან/და შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან მიტანისა და უკან შენახვის ადგილზე ან სააგენტოში დაბრუნების მიზნით, თუ აღნიშნული განპირობებულია იარაღის ბალისტიკური შემოწმების საჭიროებიდან გამომდინარე;

ი.ვ) იარაღი, სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში გადატანისა და უკან შენახვის ადგილზე ან სააგენტოში დაბრუნების მიზნით, თუ აღნიშნული განპირობებულია იარაღის ბალისტიკური შემოწმების საჭიროებიდან გამომდინარე;

ი.ზ) შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღი და ამ გადასატანი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნა (არაუმეტეს 300 ვაზნისა), იარაღის შენახვის ადგილიდან დახურულ ან/და ნახევრად დახურულ ტირში, სასროლეთში ან/და სასროლო-სანადირო სტენდში მიტანის ან/და იარაღის შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით;

ი.თ) შენახვის უფლებით რეგისტრირებული სპორტული მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი და ამ

გადასატანი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნა (არაუმეტეს 300 ვაზნისა), შენახვის ადგილიდან დროებით სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების ან/და შესაკეთებლად მიტანისა და იარაღის შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით;

ი.ი) სპორტული მოკლე პნევმატური იარაღი, მესაკუთრე ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული იარაღის შენახვის ადგილიდან დროებით სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების ან/და შესაკეთებლად მიტანისა და იარაღის შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით;

ი.კ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირებისაგან შეძენილი იარაღი, სააგენტოში დადამღვისათვის ან/და იარაღიდან ექსპერიმენტული გასროლისათვის წარდგენისა და შენახვის ადგილზე გადატანის მიზნით (აღნიშნულ შემთხვევაში, იარაღის დროებითი მოწმობა დაინტერესებულ პირს აძლევს უფლებას, იარაღთან ერთად გადაიტანოს ამ იარაღისთვის განკუთვნილი, ექსპერიმენტული გასროლისათვის საჭირო რაოდენობის ვაზნა);

კ) რეგისტრაცია – სააგენტოს მიერ ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო მონაცემების იარაღის სარეგისტრაციო მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (შემდგომ – იარაღის რეესტრი) პირველადი აღრიცხვა (პირველადი რეგისტრაცია, ლეგალიზაცია) ან შემდგომი აღრიცხვა (გადაფორმება), იარაღის შეძენის ნებართვის გაცემა ან გაცემული იარაღის შეძენის ნებართვის სახის შეცვლა რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით;

ლ) გადაფორმება – რეგისტრაცია, რომელიც დაკავშირებულია რეგისტრირებულ იარაღზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების სხვა პირისთვის გადაცემასთან (გასხვისება, მემკვიდრეობა და სხვ.);

მ) ხელახალი რეგისტრაცია – სააგენტოს მიერ რეგისტრაციის შედეგად იარაღის რეესტრში ასახული ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით (გარდა „ვ“ ქვეპუნქტისა და გადაფორმებისა) განსაზღვრულ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა (მათ შორის, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ახალი სარეგისტრაციო მონაცემის დამატება, სარეგისტრაციო მონაცემის გაუქმება, ასევე, გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენა ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით. სარეგისტრაციო მონაცემის შეცვლა იწვევს შეცვლილი სარეგისტრაციო მონაცემის იურიდიული ძალის დაკარგვას;

ნ) სარეგისტრაციო მონაცემი – ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემი (ინფორმაცია), რომელიც დგინდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და აისახება იარაღის რეესტრსა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში (დადგენილი ნიმუშის შესაბამისად);

ო) იარაღის ჩამოწერა – საკუთრების უფლებაზე უარის თქმის გამო მესაკუთრის მიერ იარაღის ან/და მისი ძირითადი ელემენტის სააგენტოსათვის უსასყიდლოდ ჩაბარება;

პ) შეძენის ყუა (დანართი №1) – იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იარაღის შეძენის ფაქტს;

ჟ) იარაღის ძირითადი ელემენტები – ლულა, დოლურა, ჩამკეტი, ჩარჩო, ლულის კოლოფი;

რ) იარაღის არასრული დაშლა – იარაღის დაშლა სპეციალური ხელსაწყოების გამოყენების გარეშე, იარაღში არსებული ყველა შესაძლო ნაწილის (ძირითადი ელემენტები) განცალკევებით, თუ იარაღის კონსტრუქცია იძლევა ამის შესაძლებლობას;

ს) დამატებითი ძირითადი ელემენტი – რეგისტრირებული ან პირველადი რეგისტრაციისათვის წარდგენილი იარაღისგან კონსტრუქციულად განცალკევებული ძირითადი ელემენტი, რომელიც წარმოადგენს იარაღის დამატებით ან სათადარიგო ნაწილს და გამოიყენება იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრებული ძირითადი ელემენტების დადგენილი წესით დროებით ჩასანაცვლებლად;

ტ) იარაღის შენახვის ადგილი – სააგენტოს მიერ რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის საჭირო საქმის წარმოების ფარგლებში ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ადგილი, სადაც მესაკუთრეს ან მოსარგებლეს ეძლევა მის სახელზე რეგისტრირებული იარაღისა და ამ იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის შენახვის უფლება. იარაღისა და საბრძოლო მასალის იარაღის შენახვის ადგილის გარდა სხვა ადგილზე შენახვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით. იარაღის შენახვის ადგილი წარმოადგენს სარეგისტრაციო მონაცემს, რომელიც სავალდებულო წესით აისახება იარაღის რეესტრსა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში;

უ) იარაღის დამამზადებელი – პირი, რომელსაც აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზია;

ფ) დამზადებული იარაღის მოწმობა – დამზადებული იარაღის მონაცემების ამსახველი, სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი, რომელიც ამ წესით განსაზღვრული გარემოების არსებობისას ადასტურებს დამამზადებლის მიერ დამზადებული იარაღის გასხვისების ფაქტს;

ქ) იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი ან ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 11^2 პუნქტით განსაზღვრული სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი;

ღ) ტირის/სასროლეთის მფლობელი – დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე;

ყ) ფედერაცია – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სროლის სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაცია/ორგანიზაცია ან/და მისი წევრი იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნილი აქვს დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირი, სასროლეთი ან/და სასროლო-სანადირო სტენდი);

შ) სპორტული ორგანიზაცია – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეროვნული სპორტული ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც სროლის სახეობაა;

ჩ) სამონადირეო პროფილის იურიდიული პირი – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „$გ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელიც ეწევა სარეწაო, სამოყვარულო, სპორტულ ან სამეცნიერო ნადირობას, ან აღნიშნული პროფილით ახორციელებს ტურისტულ მომსახურებას და აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

ც) ავტორიზებული პირი ან ვაჭრობის ლიცენზიის მქონე ავტორიზებული პირი – იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად მინიჭებული აქვს ავტორიზებული პირის სტატუსი;

ძ) დაინტერესებული პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმე, დაწესებულება ან სხვა პირი, რომელსაც აქვს უფლება ან ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სააგენტოს იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა, იარაღის რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება (მათ შორის, ჩამოწერა) იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა, იარაღის ბალისტიკური შემოწმების ჩატარება, ასევე, ამ წესში მითითებული რომელიმე სხვა მომსახურების გაწევა.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 25 ივლისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 26.07.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 21.02.2023 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 3

1. დაინტერესებული პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შემენილი იარაღისა და მისი ძირითადი ელემენტების რეგისტრაცია, ხოლო ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე, ხელახალი რეგისტრაცია ან რეგისტრაციის გაუქმება.
2. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან 10 დღის ვადაში, სააგენტოში სავალდებულო წესით რეგისტრაციასა და ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარება:

ა) ფიზიკური პირის მიერ შემენილი/კუთვნილი თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი და გაზის (აირის) იარაღი, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი და მათი ძირითადი ელემენტები;

ბ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„პ[1] ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირის საკუთრებაში არსებული იარაღი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი, ასევე, მისი ძირითადი ელემენტები;

გ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„პ[1]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაწესებულებების კუთვნილი იარაღით მოსარგებლე პირებისთვის სამსახურებრივ-საშტატო სტატუსით გადაცემული იარაღი;

დ) ტირის/სასროლეთის მფლობელის კუთვნილი ის სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდან სროლაც დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-სანადირო სტენდის ტერიტორიაზე დასაშვებია საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის შესაბამისად, ასევე, მისი ძირითადი ელემენტები;

ე) ფედერაციისა და სპორტული ორგანიზაციის კუთვნილი სანადირო და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღები და მათი ძირითადი ელემენტები;

ვ) სამონადირეო პროფილის იურიდიული პირის კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი და მისი ძირითადი ელემენტები.

3. რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციის შედეგად ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად გაიცემა A, B, C, D, F, G, H და I კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა. ამასთან, იარაღის რეგისტრაციითა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემით დასტურდება:

ა) სააგენტოს მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13-14[3] პუნქტებით განსაზღვრული ნებართვის გაცემა;

ბ) იარაღზე და მის დამატებით ძირითად ელემენტებზე დაინტერესებული პირის საკუთრების ან/და სარგებლობის უფლება;

გ) იარაღის სარეგისტრაციო მონაცემები და იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო გასცემს:

ა) A კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული იმ თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ცეცხლსასროლი იარაღისა და მათი

ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რომლებზეც გაიცემა იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვა;

ბ) B კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას:

ბ.ა) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული იმ თავდაცვის გაზის (აირი) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელი ცეცხლსასროლი იარაღისა და მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რომლებზეც გაიცემა იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა;

ბ.ბ) იმ თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ცეცხლსასროლი იარაღისა და მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რომელთა მესაკუთრე ფიზიკურ პირს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ შეუნარჩუნდა იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების) უფლება;

ბ.გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, აგრეთვე, საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეების საკუთრებაში არსებულ იმ თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ცეცხლსასროლი იარაღისა და მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რომლებსაც იმავდროულად მინიჭებული აქვს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი და გაიცემა იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა;

გ) C კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში მოსარგებლის (გარდა ამ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისა) საკუთრებაში არსებულ იმ იარაღისა და მისი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რომელსაც მინიჭებული აქვს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი და გაიცემა იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა;

დ) D კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – მოსარგებლეზე გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და მისი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რომელზეც გაიცემა იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვა;

ე) F კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – იარაღის ძირითადი ელემენტის დამატებითი ძირითადი ელემენტის სახით რეგისტრაციისას, თუ აღნიშნული ელემენტის იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრების შედეგად იარაღის საერთო სიგრძე იცვლება, ისე რომ იწვევს იარაღის ტიპის (გრძელი იარაღის მოკლე იარაღად ან პირიქით) ცვლილებას და თუ ძირითადი ან/და დამატებითი ძირითადი ელემენტით დაკომპლექტებული იარაღი საჭიროებს სხვადასხვა სახის იარაღის შეძენის (შენახვის ან შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემას. ამასთან, რეგისტრაციითა და F კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობით დასტურდება:

ე.ა) იარაღზე იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა, თუ ძირითადი ან/და რეგისტრირებული დამატებითი ძირითადი ელემენტით დაკომპლექტებული იარაღის საერთო სიგრძე აღემატება 55 სმ-ს და იგი თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სანადირო ცეცხლსასროლ იარაღს;

ე.ბ) იარაღზე იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვის გაცემა, თუ ძირითადი ან/და რეგისტრირებული დამატებითი ძირითადი ელემენტით დაკომპლექტებული იარაღის საერთო სიგრძე არ აღემატება 55 სმ-ს და იგი თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლ იარაღს;

ვ) G კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – ტირის/სასროლეთის მფლობელის კუთვნილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის და მისი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას;

ზ) H კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – ფედერაციის ან სპორტული ორგანიზაციის

კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის და მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას;

თ) I კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას – სამონადირეო პროფილის იურიდიული პირის კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და მისი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას.

5. სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში.

5^1. ,,იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა (გარდა ამ ბრძანების მე-3 მუხლის 5^2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა) ამავე კანონის 27^1 მუხლით გათვალისწინებული გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან გათავისუფლების დადასტურების მიზნით სამოქალაქო იარაღის რეგისტრაციისათვის სააგენტოში უნდა წარადგინონ ,,იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი სამსახურიდან. პირი შეიძლება გათავისუფლდეს აღნიშნული ცნობის წარდგენის ვალდებულებისგან, თუ შესაბამისი გარემოების შესახებ ინფორმაცია სააგენტოსთვის ხელმისაწვდომია სააგენტოს ხელთ არსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი დანაყოფის მონაცემთა ბაზების ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, აგრეთვე თუ აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია განეკუთვნება სააგენტოსთვის ოფიციალური წყაროებიდან ხელმისაწვდომ გასაჯაროებულ სანდო ინფორმაციას.

5^2. სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულმა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, აგრეთვე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეებმა ,,იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^1 მუხლით გათვალისწინებული გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან გათავისუფლების დადასტურების მიზნით, სამოქალაქო იარაღის რეგისტრაციისათვის ამ მუხლის 5^1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ნაცვლად სააგენტოში უნდა წარადგინონ თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი. პირი შეიძლება გათავისუფლდეს აღნიშნული ცნობის წარდგენის ვალდებულებისგან, თუ შესაბამისი გარემოების შესახებ ინფორმაცია სააგენტოსთვის ხელმისაწვდომია სააგენტოს ხელთ არსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი დანაყოფის მონაცემთა ბაზების ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, აგრეთვე თუ აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია განეკუთვნება სააგენტოსთვის ოფიციალური წყაროებიდან ხელმისაწვდომ გასაჯაროებულ სანდო ინფორმაციას.

6. იარაღის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს უფლება აქვს იარაღის შეძენის ნებართვის მიღება, რეგისტრაცია ან/და ხელახალი რეგისტრაცია განახორციელოს სააგენტოს ნებისმიერ უფლებამოსილ დანაყოფში, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა.

7. იარაღის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა გაიცემა მხოლოდ კონკრეტულ იარაღზე.

8. დაუშვებელია ერთსა და იმავე იარაღზე ერთდროულად სხვადასხვა კატეგორიის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა.

9. დაუშვებელია დაურეგისტრირებელი იარაღის განკარგვა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.

10. სამსახურებრივ-საშტატო სტატუსის მქონე იარაღის გასხვისებამდე მესაკუთრე ვალდებულია მიმართოს შესაბამის ორგანოს იარაღზე სამსახურებრივ-საშტატო სტატუსის მოხსნის თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 6 ნოემბრის ბრძანება №852 - ვებგვერდი, 09.11.2015წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №589 - ვებგვერდი, 25.10.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 4

1. სააგენტო იარაღის, ასევე, მისი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებას (მათ შორის, ჩამოწერას) ახორციელებს დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის ან უფლებამოსილი პირისაგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. იარაღის, ასევე, მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაუქმების შედეგად იარაღის რეესტრში აისახება შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემები:

ა) მესაკუთრის და მოსარგებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მესაკუთრე ფიზიკური პირის ან მოსარგებლის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მესაკუთრე იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი);

ბ) იარაღის სახე, მარკა, მოდელი, ტიპი, ლულის ტიპი, კალიბრი (ყალიბი), საიდენტიფიკაციო ნომერი, ასევე, გამოშვების წელი (არასავალდებულო);

გ) დამატებითი ძირითადი ელემენტის სახე და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) იარაღის (გარდა პისტოლეტის და რევოლვერისა) საერთო სიგრძე;

ე) იარაღის (გარდა პისტოლეტის და რევოლვერისა) საერთო სიგრძე მასზე დამატებითი ძირითადი ელემენტის კონსტრუქციულად დამაგრებისას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი ძირითადი ელემენტის იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრება არ იწვევს იარაღის საერთო სიგრძის ცვლილებას);

ვ) სააგენტოს მიერ გაცემული იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლება) ნებართვის სახე (მხოლოდ მესაკუთრე ფიზიკური პირის ან მოსარგებლის შემთხვევაში), გაცემის საფუძველი და თარიღი, ასევე, იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი და თარიღი;

ზ) იარაღის რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების (მათ შორის, ჩამოწერის) საფუძველი და თარიღი;

თ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი, კატეგორია, გაცემისა და გაუქმების თარიღი;

ი) იარაღის შენახვის ადგილი;

კ) იარაღის დადამღვის შემთხვევაში, ინფორმაცია დადამღვის თარიღისა და დადამღული საიდენტიფიკაციო ნომრის ან სააღრიცხვო ნომრის შესახებ;

ლ) რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების მიზნებისათვის სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

3. სარეგისტრაციო მონაცემების დადგენა ხორციელდება იარაღის ბალისტიკური შემოწმებით (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა), ასევე, სააგენტოს მიერ გამოცემული ან სააგენტოში დაცული/წარდგენილი საქმისწარმოებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დოკუმენტებით. იარაღის, ასევე, მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის იარაღზე და მის ძირითად ელემენტზე დაინტერესებული პირის საკუთრების ან/და სარგებლობის უფლება უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, სასამართლოს აქტით ან/და უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სხვა დოკუმენტით.

4. სააგენტოს მიერ იარაღის და მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია და ხელახალი რეგისტრაცია არ განხორციელდება, თუ:

ა) მომსახურების გაწევას ითხოვს არაუფლებამოსილი პირი ან საქართველოს კანონმდებლობის

თანახმად, წარმოდგენილი იარაღი ან მისი ძირითადი ელემენტი არ ექვემდებარება სააგენტოში რეგისტრაციას/ხელახალ რეგისტრაციას;

ბ) არსებობს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი;

გ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, აკრძალულია წარმოდგენილი იარაღის სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღად გამოყენება;

დ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულია სააგენტოში წარდგენილი იარაღის ძირითადი ელემენტის სამოქალაქო ან/და სამსახურებრივ-საშტატო იარაღისთვის გამოყენება;

ე) არ იქნა წარდგენილი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისათვის, იარაღის ან მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

ვ) არ იქნა წარდგენილი უფლებამოსილი პირის თანხმობა ამ წესის 11^1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ზ) მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებისა, დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს სააგენტოში იარაღის ან/და მისი ძირითადი ელემენტის დადგენილი წესით წარდგენას;

თ) საქმისწარმოების შედეგად ვერ დგინდება ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო მონაცემი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა);

ი) არსებობს ბალისტიკურ შემოწმებაზე ან ექსპერიმენტულ გასროლაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბალისტიკურ შემოწმებას ან ექსპერიმენტულ გასროლას);

კ) დაინტერესებულ პირზე აღრიცხულია უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც კრძალავს იარაღის ან მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციას/ხელახალ რეგისტრაციას;

ლ) არ იქნა წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის ან/და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.

5. იარაღის რეგისტრაცია უქმდება:

ა) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას;

ბ) თუ არსებობს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნებართვის გაუქმების საფუძველი ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იარაღის შეძენის ნებართვას ან/და რეგისტრაციას დაკარგული აქვს იურიდიული ძალა;

გ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტითა და 35^2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში;

დ) თუ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „$დ^1$“ ან „$დ^4$“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოების შესაძლო არსებობის თაობაზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებული საქმისწარმოების ფარგლებში, დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ცნობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას;

ე) თუ დაინტერესებული პირის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სააგენტო ვერ უზრუნველყოფს რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის საჭირო საქმისწარმოების დაწყებას/დასრულებას;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

ზ) თუ გაიცა იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობა;

თ) თუ იარაღის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ დაკარგა იარაღზე საკუთრების ან სარგებლობის უფლება;

ი) განხორციელდა იარაღის შემდგომი რეგისტრაცია (ახალი რეგისტრაციის განხორციელების შემთხვევაში ძველი რეგისტრაცია კარგავს იურიდიულ ძალას);

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. იარაღის რეგისტრაციის გაუქმებით უქმდება იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა და იარაღის შეძენის ნებართვაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რეგისტრაციის გაუქმების შედეგად პირი კარგავს ყველა იმ უფლებას, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა რეგისტრაციით, ასევე, იარაღის შეძენის ნებართვისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემით.

7. იარაღის შეძენის ნებართვის იურიდიული ძალის დაკარგვის შემთხვევაში, იარაღის რეგისტრაცია და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა ითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

8. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ იარაღის შეძენის ნებართვის, იარაღის რეგისტრაციისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმებისათვის საჭირო საქმისწარმოება შემოიფარგლება იარაღის რეესტრში იარაღის შეძენის ნებართვის, იარაღის რეგისტრაციისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმების თაობაზე ინფორმაციის ასახვითა და აღნიშნულის შესახებ დაინტერესებული პირისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ინფორმირებით.

9. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტითა და 35^2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საქმისწარმოება ითვალისწინებს მხოლოდ იარაღის რეესტრში იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის, იარაღის რეგისტრაციისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის იურიდიული ძალის დაკარგვის თაობაზე ინფორმაციის ასახვას.

10. იარაღის მესაკუთრე ან მოსარგებლე იმ უფლებამოსილებას, რომელიც მას მიენიჭა იარაღის შეძენის ნებართვის, იარაღის რეგისტრაციისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შედეგად, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა, კარგავს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების წარმოშობის დღიდან, მიუხედავად იმისა, თუ როდის განახორციელა სააგენტომ იარაღის შეძენის ნებართვის, იარაღის რეგისტრაციისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმების თაობაზე ინფორმაციის იარაღის რეესტრში ასახვა.

11. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იარაღის მესაკუთრე ვალდებულია იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის, იარაღის რეგისტრაციის ან/და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმებიდან ან/და იურიდიული ძალის არმქონედ მიჩნევიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს იარაღის გადაფორმება, ჩამოწერა, იარაღის საკომისიო წესით ჩაბარება ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარება.

12. გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენა შესაძლებელია შესაბამისი საფუძვლის არსებობისას იმავე მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე იარაღის ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების გზით.

13. იარაღის საერთო სიგრძე მიეთითება იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში, კერძოდ, გრაფაში „კალიბრი“, მარჯვენა კიდესთან (ლათინური ასო „L“ და სიგრძე გამოსახული სანტიმეტრებში), ხოლო იარაღის საერთო სიგრძე დამატებითი ძირითადი ელემენტის იარაღზე კონსტრუქციულად

დამაგრებისას აისახება გრაფაში „დამატებითი ძირითადი ელემენტები“, ყველა იმ დამატებითი ძირითადი ელემენტის გასწვრივ, რომელიც გავლენას ახდენს იარაღის საერთო სიგრძეზე (ლათინური ასო „L“ და სიგრძე გამოსახული სანტიმეტრებში).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 ივლისის ბრძანება №503 - ვებგვერდი, 13.07.2015წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 16.06.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 4[1]

1. მესაკუთრე ფიზიკურ პირს და მოსარგებლეს იარაღის ძირითადი ელემენტის შეძენის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძენის მომენტისთვის მასზე გაცემულია შესაბამისი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვა. ინდივიდუალურ მეწარმესა და იურიდიულ პირს იარაღის ძირითადი ელემენტის შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. მესაკუთრე ფიზიკური პირი, მოსარგებლე, ასევე, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“-„ჩ[4]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები ვალდებულნი არიან იარაღის ძირითადი ელემენტის შეძენიდან 10 დღის ვადაში განახორციელონ:

ა) საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ იარაღზე, კონსტრუქციით გათვალისწინებული იარაღის ძირითადი ელემენტის შეძენილი იარაღის ძირითადი ელემენტით შეცვლა (იარაღზე მისი კონსტრუქციულად დამაგრება) და ასეთი სახით შეძენილი იარაღის ძირითადი ელემენტის სააგენტოში რეგისტრაცია;

ბ) შეძენილი იარაღის ძირითადი ელემენტის დამატებითი ძირითადი ელემენტის სახით რეგისტრაცია (იარაღის პირველადი რეგისტრაციისას დასაშვებია შეძენილი იარაღის ძირითადი ელემენტის იარაღთან ერთად, დამატებითი ძირითადი ელემენტის სახით დარეგისტრირება. ამ შემთხვევაში იარაღის პირველადი და ხელახალი რეგისტრაცია ხორციელდება ერთდროულად, ერთიანი პროცესით).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იარაღის ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია ხორციელდება იარაღის ხელახალი რეგისტრაციის გზით (შემდგომ – ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია). ამასთან, იარაღის ძირითადი ელემენტის შესახებ მონაცემები (სახე, საიდენტიფიკაციო ნომერი, რეგისტრაციის მიზანი, იარაღის საერთო სიგრძე) აისახება იარაღის რეესტრში და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში (საამისოდ განკუთვნილ ველებში).

4. დაინტერესებული პირის მიერ იარაღის ძირითადი ელემენტის რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი (ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის შემთხვევაში);

ბ) განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის მიზანი;

გ) იარაღის ძირითად ელემენტზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა ლეგალიზაციის შემთხვევისა);

დ) დაინტერესებულ პირზე შესაბამისი ტიპის სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის ან/და გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემის ან/და რეგისტრაციის დამადასტურებელი იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თუ იარაღისა და მისი დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია ხორციელდება ერთდროულად);

ე) ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლისა და მომსახურების საფასურის

გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა, განახორციელოს შეცვლილი და რეგისტრაციის არმქონე იარაღის ძირითადი ელემენტის ჩამოწერა და იმავე იარაღის დამატებით ძირითად ელემენტად რეგისტრაცია ან მის საკუთრებაში არსებული სხვა იარაღის ძირითად ან დამატებით ძირითად ელემენტად რეგისტრაცია, ასევე, გადაფორმება/გასხვისება ან საკომისიო წესით ჩაბარება.

6. რეგისტრირებულ იარაღის დამატებით ძირითად ელემენტზე სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმების, საკუთრების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის, ან საკუთრების უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში სავალდებულოა იარაღის ხელახალი რეგისტრაცია.

7. დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის შედეგად, მესაკუთრეს/მოსარგებლეს უფლება აქვს ხელახალი რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს იარაღის ძირითადი ელემენტის დამატებითი ძირითადი ელემენტით დროებით ჩანაცვლება (იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრება). დადგენილი წესით რეგისტრირებული დამატებითი ძირითადი ელემენტის იარაღზე დროებით კონსტრუქციული დამაგრება არ მიიჩნევა იარაღის გადაკეთებად.

8. იარაღის გადაკეთებად არ მიიჩნევა იარაღის კონდახის შეცვლა ან იარაღზე დამხმარე მოწყობილების დაყენება-მოხსნა, თუ:

ა) აღნიშნულით არ იცვლება იარაღის საერთო სიგრძე ან იცვლება, თუმცა, იგი არ იწვევს იარაღის ტიპის შეცვლას (გრძელი იარაღის მოკლე იარაღად ან პირიქით);

ბ) აღნიშნული გავლენას არ ახდენს იარაღის კვალწარმოქმნაზე;

გ) აღნიშნულით არ ხდება ფიზიკური ზემოქმედების შედეგად იარაღის რომელიმე კონსტრუქციული ელემენტის პირვანდელი სახის შეცვლა (გადაჭრა, შედუღება, დეფორმირება).

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ არის სავალდებულო იარაღის ხელახალი რეგისტრაცია.

10. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გასხვისებული ძირითადი ელემენტის ახალი შემძენის მიერ რეგისტრაცია ხორციელდება დადგენილი წესით, ამასთან, შემძენს არ მოეთხოვება ძირითადი ელემენტის რეგისტრაციისთვის ძირითადი ელემენტის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 5

1. სააგენტოს მიერ იარაღის შენახვის ადგილი განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იარაღის შენახვის ადგილად ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია განისაზღვროს:

ა.ა) ნებართვის მფლობელის რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი;

ა.ბ) ნებართვის მფლობელის საკუთრებში ან თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი);

ა.გ) მესამე პირის საკუთრებაში არსებული ნებართვის მფლობელის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი;

ბ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იარაღის შენახვის ადგილად განისაზღვრება დახურული ან ნახევრად დახურული ტირის, სასროლეთის ან სასროლო-სანადირო სტენდის მისამართი;

გ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იარაღის შენახვის ადგილად, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია განისაზღვროს

ფედერაციის იურიდიული მისამართი ან ფედერაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნილი დახურული ან ნახევრად დახურული ტირის, სასროლეთის ან სასროლო-სანადირო სტენდის მისამართი;

დ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იარაღის შენახვის ადგილად განისაზღვრება სამონადირეო პროფილის იურიდიული პირის მისამართი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იარაღის შენახვის ადგილად ფიზიკური პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა ფიზიკურ პირს რეგისტრაციის/დროებითი რეგისტრაციის ადგილი ან საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ამასთან, სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს აღნიშნულ მისამართზე ფიზიკური პირის ფაქტობრივად ცხოვრების თაობაზე ინფორმაციის ნამდვილობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის მდებარეობის დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნულია მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დასახელება და არ არის მითითებული საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მესაკუთრე/მოსარგებლე ვალდებულია, იარაღი და საბრძოლო მასალა შეინახოს მხოლოდ აღნიშნულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარე თავის საცხოვრებელ ადგილზე.

4. დასაშვებია მესაკუთრემ ან მოსარგებლემ გაზის (აირის) იარაღი, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი, სპორტული გრძელი ცეცხლსასროლი იარაღი ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, ასევე, ნებართვის მფლობელმა ის თავდაცვის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი ან სპორტული მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი, რომელზეც გაცემულია იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა, იარაღის შენახვის ადგილის გარდა დროებით შეინახოს მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით, თუ მის მიერ ადგილზე (არსებული პირობების გათვალისწინებით), უზრუნველყოფილი იქნება ამ წესის მე-18 მუხლით განსაზღვრული იარაღისა და საბრძოლო მასალის უსაფრთხო შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა.

5. დასაშვებია ფედერაციის ან სპორტული ორგანიზაციის მიერ მისი ან სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე პირის კუთვნილი სპორტული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების ან სპორტული შეჯიბრების ჩატარების ადგილზე დროებითი შენახვა, თუ უზრუნველყოფილი იქნება იარაღისა და საბრძოლო მასალის უსაფრთხო შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა.

6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„პ[1]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაწესებულებების მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შენახვის ადგილად შესაძლებელია განისაზღვროს ამ დაწესებულების მიერ მითითებული ადგილი.

7. იარაღის შენახვის ადგილის გარდა იარაღის სხვა ადგილზე შენახვა (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა) დასაშვებია იარაღის ხელახალი რეგისტრაციის შედეგად, იარაღის რეესტრში სარეგისტრაციო მონაცემად განსაზღვრული იარაღის შენახვის ადგილის შეცვლის შემდეგ.

8. რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციის საფუძვლის წარმოშობის/გარემოების დადგომის, აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს ახალ საცხოვრებელ ადგილზე იარაღის შენახვის უფლება წარმოეშობა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სააგენტოში იარაღის რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ.

9. დაუშვებელია იმ იარაღის ტარება, რომელზეც იარაღის შეძენის ნებართვა გაცემულია შენახვის უფლებით. ასეთი იარაღის შენახვის ადგილიდან სხვა ადგილზე გადატანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 6

1. მესაკუთრე ან მოსარგებლე ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელახალი რეგისტრაციის საფუძვლის წარმოშობიდან/გარემოების დადგომიდან 10 დღის ვადაში დადგენილი წესით მიმართოს სააგენტოს იარაღის ხელახალი რეგისტრაციის მიზნით.

2. იარაღის ხელახალ რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო. იარაღის ხელახალი რეგისტრაცია სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ფაქტობრივად შეიცვალა იარაღის რეესტრში რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციის დროს ასახული ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი (გარდა იარაღის გადაფორმების საფუძვლის წარმოშობისა);

ბ) წარმოიშვა ამ წესის 4^1 მუხლის მე-2, მე-5 ან მე-6 პუნქტებით განსაზღვრული რომელიმე გარემოება;

გ) თუ გადაკეთდა იარაღი (მათ შორის, თუ გადაკეთების შედეგად იცვლება რეგისტრაციისას აღრიცხული ძირითადი ელემენტებით ან/და დამატებითი ძირითადი ელემენტებით დაკომპლექტებული იარაღის საერთო სიგრძე);

დ) დაკარგული ან დაზიანებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის აღსადგენად/შესაცვლელად;

ე) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, გაუქმებული რეგისტრაციის აღსადგენად;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. იარაღის ხელახალი რეგისტრაციისათვის სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი (ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის შემთხვევაში);

ბ) დადგენილი წესით გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ დაინტერესებული პირი სააგენტოსთან ურთიერთობას აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით) და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) განცხადება;

დ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;

ე) ხელახალი რეგისტრაციის საფუძვლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა);

ზ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

4. იარაღის ხელახალი რეგისტრაციისას გაიცემა იარაღის რეგისტრაციის ახალი მოწმობა, ხოლო იარაღის რეგისტრაციის ძველი მოწმობა ითვლება ძალადაკარგულად და იგი უნდა ჩაჰბარდეს სააგენტოს.

5. იარაღის ხელახალი რეგისტრაციის განმახორციელებელი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად დამატებით მოითხოვოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად გაცემული ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

6. სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ იარაღზე სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მოხსნისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, აგრეთვე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეები თავისუფლდებიან საკუთრებაში არსებული იარაღის ხელახალი რეგისტრაციის ან/და იარაღის რეგისტრაციის მოწმობის კატეგორიის შეცვლის ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადიან საქართველოს მოქალაქეობიდან, მიდიან უცხო სახელმწიფოს სამსახურში, ან/და დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 7

1. იარაღის ბალისტიკური შემოწმება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. (ამოღებულია - 01.08.2023, №51).

3. (ამოღებულია - 01.08.2023, №51).

4. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ იარაღს არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი, ნომრის მინიჭება ხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ იარაღის დადამღვით.

5. იარაღის ექსპერიმენტული გასროლის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

6. რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის იარაღის ბალისტიკურ შემოწმებაზე სააგენტოში წარდგენის მიზნით, ფიზიკური პირის სახელზე გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა - ფორმა №1 (დანართი №3), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს იარაღის გადატანა ბალისტიკური შემოწმების განმახორციელებელ ორგანოში, ხოლო შემოწმების შემდეგ იარაღი გადაიტანოს უკან, შენახვის ადგილზე. იარაღის დროებითი მოწმობის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

7. იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა №1) I ნაწილს ავსებს იარაღის რეგისტრაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც განსაზღვრავს იარაღის ბალისტიკური შემოწმების ჩატარების ადგილს, ხოლო გრაფით – „ძალაშია“ განისაზღვრება ვადა, რომლის განმავლობაშიც ფიზიკურ პირს ეძლევა უფლება, გადაიტანოს იარაღი ბალისტიკური შემოწმების განსახორციელებლად.

8. იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა №1) II ნაწილს ბალისტიკური შემოწმების განხორციელების შემდეგ ავსებს ბალისტიკური შემოწმების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური პირის მიერ ბალისტიკური შემოწმების ადგილიდან იარაღის შენახვის ადგილზე გადატანის უფლებას, ხოლო გრაფით – „ძალაშია“ განისაზღვრება გადატანის უფლების მოქმედების ვადა.

9. იარაღის დროებითი მოწმობა (№1, №2, №3 და №4 ფორმები) მოქმედებს მხოლოდ გრაფით – ,,ძალაშია“ განსაზღვრული ვადით, მიუხედავად მოწმობის გაცემის თარიღისა.

10. იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა №1) გრაფით – „ძალაშია“ განსაზღვრული იარაღის გადატანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 სამუშაო საათს.

11. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გადატანის უფლების ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს ფიზიკური პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

2. თუ იარაღზე შეძენის ნებართვა გაცემულია შენახვისა და ტარების უფლებით, ნებართვის მფლობელის მიერ ამ იარაღის ბალისტიკურ შემოწმებაზე წარდგენა დასაშვებია იარაღის დროებითი

მოწმობის გარეშე.

13. დაურეგისტრირებელი დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის მიზნით იარაღის ბალისტიკურ შემოწმებაზე წარმოდგენა ხდება იარაღის დროებითი მოწმობის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნულ იარაღზე შეძენის ნებართვა გაცემულია თუ არა შენახვისა და ტარების უფლებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 8

1. იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირები ვალდებული არიან:

ა) განახორციელონ სარეალიზაციოდ განკუთვნილი იარაღის ბალისტიკური შემოწმება (გარდა ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ბ) საკომისიო წესით ჩაიბარონ მხოლოდ ის იარაღი, რომელზეც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცემულია იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობა (დანართი N2);

გ) შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე სარეალიზაციოდ შემოტანილი ან საკომისიო წესით ჩაბარებული იარაღისა და საბრძოლო მასალის სრული ნუსხა (ტიპი, მარკა, მოდელი, სერია, ნომერი, კალიბრი) საინფორმაციო ბაზაში განსათავსებლად წარუდგინონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია ელექტრონული დოკუმენტის სახით (მყარი დისკით, ფლოპით ან/და სხვ.) ან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მიაწოდონ სააგენტოს;

ე) იარაღის რეალიზაცია განახორციელონ მხოლოდ იარაღის შეძენის უფლების მქონე პირებზე;

ვ) იარაღი შემძენ ფიზიკურ პირს გადასცენ მხოლოდ იარაღის რეგისტრაციის მოწმობისა და სააგენტოს მიერ დამოწმებული შეძენის ყუის წარმოდგენის ან სააგენტოს მიერ კომპიუტერულ პროგრამაში „იარაღის რეგისტრაციის ბარათის“ ატვირთვის შემთხვევაში, ხოლო იარაღის შენახვის უფლებით რეგისტრაციისას – დამატებით იარაღის დროებითი მოწმობის მატერიალური ფორმით წარდგენის ან კომპიუტერულ პროგრამაში ელექტრონული ფორმით ატვირთვის შემთხვევაში;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ყოველთვიურად წარუდგინონ მონაცემები რეალიზებული იარაღის და საბრძოლო მასალის, ასევე იარაღის შემძენის შესახებ.

2. სააგენტოს მიერ იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირებისაგან შეძენილი იარაღის რეგისტრაცია განხორციელდება იარაღთან დაკავშირებული მონაცემების ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან შესაბამობის შემთხვევაში.

3. იარაღის რეალიზაციის შემთხვევაში იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი ავსებს იარაღის შეძენის ყუის I ნაწილს სამ ეგზემპლარად და გადასცემს იარაღის შემძენ პირს სააგენტოში წარსადგენად. სააგენტოს მიერ ამ წესის I^1 თავით დადგენილი წესით მომსახურების გაწევისას სააგენტოში იარაღის შეძენის ყუის წარდგენა ხორციელდება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

4. იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირისაგან შეძენილი იარაღის სააგენტოში რეგისტრაციისათვის ფიზიკურმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) შეძენის ყუა;

გ) პირადობის (ბინადრობა) მოწმობა;

დ) საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ე[1]) უფლებამოსილი პირის თანხმობა 11[1] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვ) იარაღის შეძენის ნებართვაზე კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული იარაღის რეგისტრაციის შემთხვევაში, სააგენტო ავსებს შეძენის ყუის II ნაწილს, რის შემდეგაც ორ ეგზემპლარს იარაღის სარეგისტრაციო მოწმობასთან ერთად უბრუნებს იარაღის შემძენს. იარაღის შემძენი ვალდებულია 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეძენის ყუა იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შეძენილი იარაღის შენახვის ადგილზე გადატანა. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სააგენტოს მიერ ამ წესის I[1] თავით დადგენილი წესით მომსახურების გაწევის შემთხვევაზე.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული იარაღის შენახვის უფლებით რეგისტრაციის შემთხვევაში, იარაღის მესაკუთრე პირის სახელზე იარაღის შეძენის ადგილიდან საცხოვრებელ ადგილზე (შენახვის ადგილზე) გადატანის მიზნით, სააგენტო გასცემს იარაღის დროებით მოწმობას ფორმა N2 (დანართი N4), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს, მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს იარაღის გადატანა შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე. იარაღის გადატანისას ფიზიკური პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული უფლება ფიზიკურ პირს ენიჭება მხოლოდ გრაფით – „ძალაშია“ დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო საათს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გადატანის უფლების ვადის ათვლა შეიძლება მოხდეს ფიზიკური პირის მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

9. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურმა პირმა საპატიო მიზეზის გამო ვერ უზრუნველყო იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა N2) მოქმედების ვადაში იარაღის შეძენის ადგილიდან წამოღება, ახალი დროებითი მოწმობის მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ აღნიშნული გარემოების დადასტურების შემდეგ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 16.06.2023წ.

მუხლი 9

1. იარაღის ან იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის ჩამოწერისათვის მესაკუთრემ სააგენტოში უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება;

ბ) პირადობის (ბინადრობა) მოწმობა;

გ) საკუთრებაში არსებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;

დ) ჩამოსაწერი იარაღი ან იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტი;

ე) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ჩამოსაწერი იარაღი ბარდება სააგენტოს, ხოლო იარაღის მესაკუთრეს გადაეცემა სათანადოდ დამოწმებული იარაღის სააღრიცხვო ბარათის ასლი შესაბამისი აღნიშვნით. იმ შემთხვევაში, თუ

ჩამოსაწერ იარაღთან ერთად რეგისტრირებულია იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტი, მესაკუთრე ვალდებულია, განახორციელოს მისი ჩამოწერა და სააგენტოში ჩაბარება ან ლიცენზირებულ პირთან საკომისიო წესით ჩაბარება ან საკუთრების უფლების სხვა პირზე გადაცემა ან მის საკუთრებაში არსებული შესაბამისი ტიპის სხვა იარაღის დამატებით ძირითად ელემენტად რეგისტრაცია.

3. მესაკუთრის მიერ მხოლოდ იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის ჩამოწერისას, სავალდებულოა ჩამოწერილი იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის სააგენტოსათვის ჩაბარება და იარაღის ხელახალი რეგისტრაციის განხორციელება.

4. ჩამოსაწერი იარაღის სააგენტოში ჩაბარების მიზნით იარაღის მესაკუთრეზე გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა N3 (დანართი N5), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს, მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს იარაღის შენახვის ადგილიდან ჩამოწერის განმახორციელებელ ორგანოში გადატანა. იარაღის დროებითი მოწმობის მქონე პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

5. იარაღის დროებითი მოწმობის ფორმა N3-ს (დანართი N5) ავსებს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც განსაზღვრავს იარაღის ჩაბარების ადგილსა და გადატანის ვადას. იარაღის გადატანაზე მიცემული ვადა მიეთითება მოწმობის გრაფაში – ,,ძალაშია“ – და იგი არ უნდა აღემატებოდეს 12 სამუშაო საათს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გადატანის ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

7. სააგენტოს უფლება აქვს არ განახორციელოს ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული დაურეგისტრირებელი იარაღის ან იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის ჩამოწერა.

8. ჩაბარებული იარაღის განადგურების წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

9. მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილიდან დროებით სხვა ადგილზე გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით სააგენტოს მიერ გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა - ფორმა N4 (დანართი N6).

10. იარაღის დროებითი მოწმობა - ფორმა N4 (დანართი N6) უფლებას აძლევს პირს მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს დაზიანებული იარაღის გადატანა იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან, ხოლო შეკეთების შემდეგ ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს იარაღის გადატანა უკან შენახვის ადგილზე. იარაღის დროებითი მოწმობის მქონე პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

11. იარაღის დროებითი მოწმობის ფორმა N4-ის (დანართი N6) პირველ ნაწილს ავსებს იარაღის რეგისტრაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც იარაღის შენახვის ადგილისა და შეკეთების ლიცენზიის მქონე პირის მისამართის შესაბამისად მიუთითებს იარაღის შენახვისა და მიტანის ადგილს, ხოლო გრაფაში – ,,ძალაშია“ – განსაზღვრავს დროს (მაგრამ არა უმეტეს 12 სამუშაო საათისა), რომლის განმავლობაშიც პირს ეძლევა უფლება გადაიტანოს იარაღი შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გადატანის ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს ფიზიკური პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

13. იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირი ვალდებულია, იარაღის მესაკუთრისათვის დაბრუნებისას იარაღის დროებითი მოწმობის ფორმა N4-ის (დანართი N6) II ნაწილის შესაბამის გრაფაში მიუთითოს იარაღის გადაცემის საათი, დღე, თვე, წელი და მოაწეროს ხელი. მესაკუთრე ვალდებულია შეკეთების ლიცენზიის მქონე პირის მიერ იარაღის დაბრუნებიდან არა უმეტეს 8 საათისა გადაიტანოს იარაღი უკან, შენახვის ადგილზე.

მუხლი 9[1]

1. მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს უფლება აქვს შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის (დანართი №7) გაცემის მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს.

2. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის გაცემის თაობაზე მოთხოვნა მესაკუთრის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს მატერიალური ფორმით, ხოლო ავტორიზებული მესაკუთრის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ელექტრონული ფორმით.

3. შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში მიტანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით სააგენტოს მიერ იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5 გაიცემა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ელექტრონული ფორმით. მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული ფორმით გაცემული იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5 გაიცემა მატერიალური ასლის სახით.

4. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის გაცემა დასაშვებია, თუ ტირის/სასროლეთის მფლობელს, რომელთანაც უნდა მოხდეს იარაღის გადატანა, გააჩნია საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა და დაშვება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაზე. ტირის/სასროლეთის მფლობელმა იარაღის გადასატანად განსაზღვრულ პერიოდში მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის ვიზიტზე თანხმობა სააგენტოს უნდა დაუდასტუროს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით.

5. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5 გაიცემა მომსახურების გაწევის თაობაზე მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის მოთხოვნიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა (ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვისათვის დახარჯული დრო). მომსახურების გაწევის თაობაზე წარდგენილ მოთხოვნაში მესაკუთრემ/ავტორიზებულმა მესაკუთრემ უნდა მიუთითოს:

ა) მის სახელზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული იმ იარაღ(ებ)ის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და რაოდენობა, რომლის მიტანაც სურს ტირში ან სასროლეთში;

ბ) ტირის/სასროლეთის დასახელება და მისამართი, სადაც სურს იარაღის მიტანა;

გ) ტირში/სასროლეთში ვიზიტის სასურველი დრო (წელი, თვე, დღე და საათი).

6. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის I ნაწილს ავსებს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის მიერ მითითებული ვიზიტის დროის, იარაღის შენახვის ადგილისა და ტირის/სასროლეთის ადგილმდებარეობის მიხედვით განსაზღვრავს:

ა) დროს (მაგრამ არაუმეტეს 12 საათისა), რომლის განმავლობაშიც პირს ეძლევა იარაღის ტირში ან სასროლეთში გადატანის უფლება;

ბ) დროს (მაგრამ არაუმეტეს ტირში ან სასროლეთში იარაღის მიტანისთვის განსაზღვრული დროისა), რომლის განმავლობაშიც პირს ეძლევა ტირიდან ან სასროლეთიდან იარაღის შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით იარაღის გადატანის უფლება. აღნიშნული დროის ათვლა იწყება ტირში ან სასროლეთში მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის ვიზიტის დასრულებიდან, რომლის შესახებ ინფორმაციაც ტირის/სასროლეთის მფლობელის მიერ მიეთითება სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფაში.

7. სააგენტო იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის გაცემის თაობაზე ინფორმაციას ელექტრონული ფორმით აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფს. გაცემული იარაღის დროებითი მოწმობა ფორმა №5-ის შესახებ ინფორმაცია განთავსდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ელექტრონულ პორტალზე.

8. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5 არ გაიცემა, თუ:

ა) არსებობს იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაუქმების „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძველი;

ბ) მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს შეჩერებული აქვს იარაღის ტარების უფლება;

გ) არ იქნა გადახდილი მომსახურების საფასური;

დ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 25 ივლისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 26.07.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 21.02.2023 წ.

მუხლი 9^2

1. მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს იარაღის გადატანის უფლება ეძლევა მხოლოდ იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ით იარაღის ტირში ან სასროლეთში მიტანისა და ტირიდან ან სასროლეთიდან შენახვის ადგილზე დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადაში.
2. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5 უფლებას აძლევს მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს ამავე მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს მის სახელზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული არაუმეტეს 5 (ხუთი) ერთეული იარაღის ტირში ან სასროლეთში მიტანა და მათი შენახვის ადგილზე დაბრუნება.

3. ამ წესის 9^1-9^3 მუხლების შესაბამისად იარაღის გადატანისას მესაკუთრე/ავტორიზებული მესაკუთრე ვალდებულია, თან იქონიოს გადასატანი იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ით განსაზღვრული უფლების რეალიზებისას მესაკუთრე/ავტორიზებული მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას იარაღისა და ვაზნების გადატანა-გადაზიდვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.

4. დაუშვებელია ერთ პირზე ერთი დღის განმავლობაში იარაღის ტირში ან სასროლეთში მიტანის ან/და ტირიდან ან სასროლეთიდან შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით ერთზე მეტი იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის გაცემა.

5. ერთსა და იმავე მესაკუთრეზე/ავტორიზებულ მესაკუთრეზე იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის შემდგომი გაცემა დასაშვებია ბოლოს გაცემული იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ით განსაზღვრული იარაღის ტირიდან/სასროლეთიდან შენახვის ადგილზე დაბრუნების ვადის ამოწურვიდან არანაკლებ 7 კალენდარული დღისა.

6. ტირის/სასროლეთის მფლობელის თანხმობის შემთხვევაში, იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ით მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს (სურვილის შემთხვევაში) შესაძლებელია მიეცეს გადასატანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნების ტირში ან სასროლეთში გადატანის უფლებაც (ერთ ერთეულ იარაღზე არაუმეტეს 50 ვაზნისა). ვაზნების გადატანა დასაშვებია მხოლოდ იარაღის დროებით მოწმობა – ფორმა №5-ში მითითებულ იარაღ(ებ)თან ერთად, აღნიშნული იარაღ(ებ)ის გადატანისათვის განსაზღვრულ დროში. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს უფლება აქვს ტირში/სასროლეთში გამოუყენებელი ვაზნები იარაღთან ერთად გადაიტანოს (დააბრუნოს) იარაღის შენახვის ადგილზე.

7. ტირის/სასროლეთის მფლობელისა და მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის შეთანხმების შემთხვევაში დასაშვებია იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის საფუძველზე გადატანილი იარაღის ან/და ვაზნის ტირში/სასროლეთში დროებითი შენახვა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ტირი/სასროლეთი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს იარაღისა და ვაზნის შენახვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) არ დაუშვას მასთან შენახული იარაღისა და ვაზნის ტირის/სასროლეთის ტერიტორიის (სასროლო ადგილის) გარეთ გატანა (მათ შორის, მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის მიერ);

გ) მასთან დროებით შენახული იარაღი ან/და ვაზნა მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს გადასცეს მხოლოდ ტირში/სასროლეთში სასროლად ან იარაღის ან/და ვაზნის შენახვის თაობაზე შეთანხმების ვადის ამოწურვის გამო იარაღის მესაკუთრისთვის/ავტორიზებული მესაკუთრისთვის უკან დაბრუნების მიზნით;

დ) იარაღის ან/და ვაზნის შესანახად მიღების ან მესაკუთრისათვის/ავტორიზებული მესაკუთრისთვის უკან დაბრუნებისთანავე, სააგენტოს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფაში ასახოს შესაბამისად, იარაღის ან/და ვაზნის შესანახად მიღების ან იარაღის მესაკუთრისთვის/ავტორიზებული მესაკუთრისთვის უკან დაბრუნების დრო (საათი, დღე, თვე წელი).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 21.02.2023 წ.

მუხლი 9^3

1. ტირში/სასროლეთში მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის ვიზიტის დასრულებისთანავე, ტირის/სასროლეთის მფლობელი (ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი) ვალდებულია, სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფაში ასახოს მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის ვიზიტის დასრულების საათი, დღე, თვე, წელი.
2. ამ წესის 9^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც პირს ეძლევა ტირიდან ან სასროლეთიდან იარაღის შენახვის ადგილზე დაბრუნების უფლება, ელექტრონული ფორმის იარაღის დროებითი მოწმობის II ნაწილში აისახება ავტომატურად, ტირის/სასროლეთის მფლობელის მიერ სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფაში მესაკუთრის ვიზიტის დასრულების თაობაზე ინფორმაციის ასახვისთანავე.

3. მესაკუთრე/ავტორიზებული მესაკუთრე ვალდებულია, ტირში/სასროლეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს იარაღის დროებითი მოწმობის II ნაწილში მითითებული დროისა, იარაღი და გამოუყენებელი ვაზნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააბრუნოს შენახვის ადგილზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე/ავტორიზებული მესაკუთრე არ/ვერ სარგებლობს იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ით მინიჭებული უფლებით, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის I ნაწილში მითითებული იარაღის ტირში ან სასროლეთში გადატანისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვისა) უზრუნველყოს:

ა) იარაღის შენახვის ადგილზე დაბრუნება, თუ იარაღი არ იმყოფება შენახვის ადგილზე;

ბ) წერილობით ან სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით სააგენტოს ინფორმირება ტირში/სასროლეთში მისი ვიზიტის გაუქმების თაობაზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მესაკუთრეზე/ავტორიზებულ მესაკუთრეზე იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის შემდგომი გაცემა დასაშვებია აღნიშნული მოწმობის უკანასკნელი გაცემიდან არაუადრეს 90 დღისა.

6. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ით განსაზღვრულ ვადაში მესაკუთრის/ავტორიზებული მესაკუთრის ტირში/სასროლეთში ზედიზედ სამჯერ არგამოცხადების შემთხვევაში (საპატიო მიზეზის არსებობის ან ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიუხედავად), იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5-ის შემდგომი გაცემა დასაშვებია აღნიშნული მოწმობის უკანასკნელი გაცემიდან არაუადრეს 60 დღისა.

7. ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად, ხოლო გადახდილი საფასური მესაკუთრეს/ავტორიზებულ მესაკუთრეს არ დაუბრუნდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 21.02.2023 წ.

მუხლი 10

1. იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის მისაღებად მესაკუთრემ უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება;

ბ) პირადობის (ბინადრობა) მოწმობა;

გ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;

დ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2. იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობა გაიცემა სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლარი რჩება სააგენტოს, მეორე – გადაეცემა მესაკუთრეს, ხოლო მესამეს მესაკუთრე გადასცემს იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირს, იარაღის ჩაბარებისას.

3. პირი ვალდებულია იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის მოქმედების ვადაში უზრუნველყოს კუთვნილი იარაღის გადატანა იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირთან ჩასაბარებლად.

4. იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის მოქმედების ვადას განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

5. იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის გაცემის შემთხვევაში იარაღი იხსნება რეგისტრაციიდან.

მუხლი 11

1. იარაღის დამამზადებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს სარეალიზაციოდ განკუთვნილი დამზადებული იარაღის ბალისტიკური შემოწმება;

ბ) შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე დამზადებული იარაღისა და საბრძოლო მასალის შესახებ ინფორმაცია (იარაღის ტიპი, საიდენტიფიკაციო ნომერი, დამღა, კალიბრი და სხვ.) წარუდგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს საინფორმაციო ბაზაში განსათავსებლად;

გ) დამზადებული იარაღის რეალიზაცია განახორციელოს მხოლოდ იარაღის შეძენის უფლების მქონე პირებზე;

დ) შემძენ ფიზიკურ პირს გადასცეს დამზადებული იარაღი უშუალოდ, იარაღის შეძენის ნებართვისა და იარაღის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ყოველთვიურად წარუდგინოს მონაცემები რეალიზებული იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე იარაღის შემძენი პირის შესახებ;

ვ) შეასრულოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

2. დამზადებული იარაღის რეალიზაციამდე (არა უგვიანეს დამზადებიდან 14 დღისა) იარაღის დამამზადებელი ვალდებულია იარაღის ტექნიკურ მახასიათებლებთან ერთად სააგენტოში წარადგინოს განცხადება და განახორციელოს დამზადებული იარაღის ბალისტიკური შემოწმება. სააგენტოში ბალისტიკურ შემოწმებაზე წარდგენილი დამზადებული იარაღის ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს სააგენტოში რეგისტრირებული მსგავსი ტიპის იარაღის, აგრეთვე იარაღისათვის კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ მახასიათებლებს.

3. დამზადებული იარაღის ბალისტიკური შემოწმების შედეგად სააგენტო იარაღის დამამზადებელს გადასცემს დამზადებული იარაღის მოწმობას, რომელშიც წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ბალისტიკური შემოწმების საფუძველზე, აისახება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები.

4. დამზადებული იარაღის მოწმობაში სამ ეგზემპლარად აისახება:

ა) დამზადებული იარაღის მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი;

ბ) მონაცემები იარაღის დამამზადებელი იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის შესახებ;

გ) იარაღის დამამზადებელი პირის ლიცენზიის ნომერი;

დ) დამზადებული იარაღის ტიპი, სახეობა, კალიბრი (ყალიბი) და საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ე) იარაღის შემძენი პირის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი ან პირადი ნომერი;

ვ) დამზადებული იარაღის რეალიზაციის თარიღი;

ზ) დამზადებული იარაღის რეალიზაციაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა.

5. დამზადებული იარაღის მოწმობაში ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები მიეთითება იარაღის დამამზადებლის მიერ დამზადებული იარაღის რეალიზაციისას.

6. დამზადებული იარაღის მოწმობაში ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები შეიტანება სამ ეგზემპლარად, აქედან, იარაღის რეალიზაციის შემთხვევაში ერთი ეგზემპლარი რჩება იარაღის დამამზადებელს, მეორე – გადაეცემა იარაღის შემძენს, ხოლო მესამე ეგზემპლარი (მოწმობასთან ერთად) წარედგინება სააგენტოს იარაღის შეძენის ნებართვის მიღებისა და იარაღის რეგისტრაციისათვის.

7. ფიზიკური პირის მიერ იარაღის დამამზადებლისაგან შეძენილი იარაღის რეგისტრაციისათვის სააგენტოს წარედგინება:

ა) განცხადება;

ბ) დამზადებული იარაღის მოწმობა;

გ) პირადობის (ბინადრობა) მოწმობა;

დ) საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ე^{1}) უფლებამოსილი პირის თანხმობა 11^{1} მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვ) იარაღის შეძენის ნებართვაზე კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. სააგენტოს მიერ დამზადებული იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისა და რეგისტრაციის შემთხვევაში შემძენს გადაეცემა იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა. დამზადებული იარაღის შენახვის უფლებით რეგისტრაციის შემთხვევაში შემძენს დამატებით გადაეცემა იარაღის დროებითი მოწმობა - ფორმა N2 (დანართი N4), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს, მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს იარაღის გადატანა შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე. იარაღის გადატანისას ფიზიკური პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

9. დამზადებული იარაღის შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე გადატანის მიზნით იარაღის დროებითი მოწმობა გაიცემა ამ წესის მე–8 მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების მიღებიდან 10 დღის ვადაში შემძენი ვალდებულია განახორციელოს იარაღის დამამზადებლისაგან შეძენილი იარაღის შეძენის ადგილიდან

შენახვის ადგილზე გადატანა.

11. დამზადებული იარაღის შემძენზე იარაღის შეძენის ნებართვის გაუცემლობის შემთხვევაში დამზადებული იარაღის მოწმობა უქმდება, ხოლო იარაღის დამამზადებელს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემების შეუცვლელად გადაეცემა ახალი მოწმობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 16.06.2023წ.

მუხლი 11[1]

1. პირის მიერ სააგენტოსთვის ამ მუხლით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირის თანხმობის წარდგენა სავალდებულოა, თუ:

ა) პირს სურს გაზის (აირის) იარაღის ან/და ერთდროულად ორი ან მეტი იდენტური მარკისა და მოდელის იარაღის შეძენა;

ბ) პირს, რომელსაც სურს იარაღის რეგისტრაცია, კალენდარული წლის განმავლობაში უკვე შეძენილი/რეგისტრირებული აქვს ხუთი ან ხუთზე მეტი იარაღი.

2. პირის წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი გარემოებების შესწავლის საფუძველზე თანხმობის ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ წერილობით გადაწყვეტილებას, იარაღის შენახვის/რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს (შემდგომ – სამინისტროს ტერიტორიული ორგანო) რაიონული/საქალაქო დანაყოფის უფროსი (შემდგომ – რაიონული/საქალაქო დანაყოფის უფროსი) გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა. გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. რაიონული/საქალაქო დანაყოფის უფროსი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს:

ა) გაზის (აირის) იარაღის, ერთდროულად ორი ან მეტი იდენტური მარკისა და მოდელის იარაღის ან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ხუთზე მეტი იარაღის შეძენის მიზანს/მოტივს;

ბ) განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილზე იარაღების შენახვისათვის არსებულ პირობებს და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან;

გ) განმცხადებლის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (იარაღის შენახვის, ტარების ან გამოყენების წესის დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობის, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევის ჩადენის და სხვ.) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩადენის ფაქტს;

დ) განმცხადებლის მიმართ დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემის ფაქტს;

ე) სხვა ხელშემშლელ გარემოებებს.

4. რაიონული/საქალაქო დანაყოფის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილია:

ა) გაესაუბროს განმცხადებელს მის საცხოვრებელ ადგილზე ან გასაუბრების მიზნით დაიბაროს იგი პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში;

ბ) შეამოწმოს უშუალოდ პირის საცხოვრებელ ადგილზე როგორც შეძენილი/რეგისტრირებული, ისე შესაძენი იარაღის შენახვისთვის საჭირო პირობები და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობა;

გ) შეამოწმოს პირზე უკვე რეგისტრირებული ყველა იარაღის არსებობა.

5. პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში დაბარებული პირის არგამოცხადება/მისვლაზე უარი ან/და პირის საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე მისული უფლებამოსილი პირის

არდაშვება წარმოადგენს თანხმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

6. ამ მუხლით დადგენილი წესით თანხმობის გაცემის შემთხვევაში, რაიონული/საქალაქო დანაყოფი უფლებამოსილია წელიწადში არაუმეტეს ოთხჯერ (გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს ინფორმაცია პირის მიერ იარაღის ბრუნვის წესების დარღვევის შესახებ) შეამოწმოს განცხადებლის მიერ შეძენილი/რეგისტრირებული იარაღების შენახვის პირობები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 16.06.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 6 ივნისის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 06.06.2024 წ.

მუხლი 11[2]

1. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა მესაკუთრე ინდივიდუალურმა მეწარმემ და იურიდიულმა პირმა იარაღის რეგისტრაციისათვის სააგენტოში უნდა წარმოადგინოს:

ა) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი;

ბ) დადგენილი წესით გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ დაინტერესებული პირი სააგენტოსთან ურთიერთობას აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით) და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) განცხადება;

დ) იარაღზე საკუთრების უფლების წარმოშობის დოკუმენტი (გარდა ლეგალიზაციის შემთხვევისა);

ე) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა);

ვ) მოსაკრებლისა და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

2. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის კუთვნილი იარაღის და საბრძოლო მასალის გადასატანად, ასევე, ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის ან დამამზადებლის მიერ იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოსადგენად, იარაღის დროებითი მოწმობა გაიცემა ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ფიზიკური პირის სახელზე.

3. იარაღის დროებითი მოწმობით იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანის უფლება შეიძლება მიენიჭოს:

ა) იარაღის რეესტში ასახულ იარაღის მესაკუთრეს (ან მის წარმომადგენელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში) ან მოსარგებლეს;

ბ) იარაღის შემძენს, თუ მოთხოვნის მომენტისთვის იარაღი არ არის რეგისტრირებული ან რეგისტრირებულია, მაგრამ აშკარაა, რომ რეესტრში ასახული იარაღის მესაკუთრე/მოსარგებლე ვერ უზრუნველყოფს იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანას, ან იგი თანახმაა აღნიშნული განახორციელოს იარაღის შემძენმა (მხოლოდ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი.ა“, „ი.ე“, „ი.ვ“ ან „ი.კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში);

გ) მემკვიდრეს (მხოლოდ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი.ა“, „ი.ე“, „ი.ვ“ ან „ი.კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში);

დ) უფლებამოსილ პირს, თუ ეს საჭიროა საჯარო უფებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის შეტყობინების საფუძველზე

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური 3 თვეში ერთხელ ამოწმებს მოქალაქის პირად საკუთრებაში არსებული იარაღის და საბრძოლო მასალის შენახვისა და რეგისტრაციის კანონიერებას.
2. იარაღის მესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს იარაღის ჩამორთმევას თუ იარაღის მესაკუთრის გარდაცვალებიდან 7 თვის ვადაში არ იქნება უზრუნველყოფილი იარაღის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული იარაღის სააგენტოში რეგისტრაცია ხორციელდება, თუ დასაჩუქრებული პირი ან მემკვიდრე აკმაყოფილებს იარაღის შეძენის ნებართვის მიღებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3^1. მემკვიდრის სურვილის შემთხვევაში დასაშვებია მემკვიდრეობით მიღებული იარაღის/დამატებითი ძირითადი ელემენტის მემკვიდრეზე დაურეგისტრირებლად მესამე პირზე რეგისტრაცია ან იარაღის ჩამოწერა ან იარაღის საკომისიო წესით ჩაბარება. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ იარაღზე/დამატებით ძირითად ელემენტზე, რომელზეც მოთხოვნის მომენტისათვის აღრიცხულია უფლებრივი შეზღუდვა ან/და სამართლებრივი დატვირთვა.

4. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებების/ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-საშტატო სტატუსის მქონე იარაღის და საბრძოლო მასალის შენახვისა და აღრიცხვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

თავი I^1
იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის ავტორიზაციის, დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოსთვის მომსახურების გაწევის თაობაზე მიმართვის და მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების ავტორიზებული პირის მეშვეობით ელექტრონული სახით წარდგენის წესი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 12^1

1. ავტორიზაციის მსურველი იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი სააგენტოს მიმართავს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:
ა) სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ) მფლობელობაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის (კომპიუტერი, ვებკამერა, პრინტერი, სკანერი, ხელმოწერის ელექტრონული დაფა) მახასიათებლები;

გ) ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის შესაძლებლობა;

დ) ავტორიზაციის მოთხოვნა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზიის ასლი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური აღჭურვილობა თავსებადი უნდა იყოს სააგენტოს კომპიუტერულ პროგრამასთან და სააგენტოს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, შეუფერხებლად განახორციელოს ამ წესის 12^5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით წარდგენილი ავტორიზაციის მოთხოვნა არ მოიცავს ავტორიზაციისთვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს დაზუსტების მიზნით იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა, რისთვისაც მას განესაზღვრება ვადა. თუ შესაბამისი პირი დადგენილ ვადაში არ წარადგენს სათანადო დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

5. ავტორიზაციის შესახებ განცხადების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში სააგენტო სწავლობს წარდგენილ დოკუმენტებს და ადგენს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუ იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის მინიჭების მოთხოვნა აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირს ანიჭებს ავტორიზაციის სტატუსს და გადასცემს კომპიუტერულ პროგრამაში დაშვების მომხმარებლის სახელს და პაროლს.

6. ამ თავით განსაზღვრული ცალკეული საკითხების (მათ შორის, ინფორმაციის გაცვლასთან, მატერიალური ფორმის დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებასთან, მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან, მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები) დეტალურად მოწესრიგების მიზნით ავტორიზებულ პირსა და სააგენტოს შორის შესაძლებელია გაფორმდეს ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

7. იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირს ავტორიზებული პირის სტატუსი ენიჭება და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება იდება ავტორიზებულ პირზე გაცემული სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზიის მოქმედების ვადით.

8. სააგენტოს მიერ ავტორიზაციის თაობაზე იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, თუ:

ა) იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი ამ მუხლის პირველი, მე-2 ან/და მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

ბ) შეჩერებულია ან გაუქმებულია (მათ შორის, ვადის გასვლის გამო) მის სახელზე გაცემული სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზია;

გ) იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მფლობელობაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა არ არის თავსებადი სააგენტოს კომპიუტერულ პროგრამასთან;

დ) იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირი ვერ უზრუნველყოფს სააგენტოსათვის წარსადგენ ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებას ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმას;

ე) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოება.

9. სააგენტოს მიერ ავტორიზაცია უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) გამოვლინდა, რომ იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი ინფორმაცია არის არაზუსტი ან არასრული;

ბ) გამოვლინდა გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაშიც არ განხორციელდებოდა იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის ავტორიზაცია;

გ) წარდგენილია ავტორიზებული პირის მოთხოვნა ავტორიზაციის გაუქმების შესახებ;

დ) მხარეთა შორის არსებული უთანხმოების გამო ვერ ხდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების დადება;

ე) ავტორიზებული პირი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ამ წესით ან ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს;

ვ) სააგენტოს ან ავტორიზებული პირის ლიკვიდაციისას/გაუქმებისას, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე სუბიექტი;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 12^2

1. ამ თავით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ავტორიზებულ პირსა და სააგენტოს შორის კავშირი ხორციელდება ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (შემდგომში – კომპიუტერული პროგრამა) საშუალებით. ზემოაღნიშნული მიზნით ავტორიზებულ პირსა და სააგენტოს შორის კავშირი კომპიუტერული პროგრამის გარდა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით (შემდგომში – ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალება).
2. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია ე.წ „პირადი ხელმოწერისა“ და „ბეჭდის“ დატანის გზით დაამოწმოს ან/და დაადასტუროს დაინტერესებული პირისათვის გასაცნობად სააგენტოს მიერ მისთვის კომპიუტერული პროგრამით ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით მიწოდებული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი. ავტორიზებული პირის მიერ დამოწმებული ან/და დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

3. დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების გაწევისათვის ავტორიზებული პირის მეშვეობით წარდგენილ მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ავტორიზებული პირის მიერ დამოწმებული ან/და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

4. ამ თავით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ავტორიზებული პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოცულობით დაამუშავოს (შეაგროვოს, გამოიყენოს, შეინახოს, გაანადგუროს და ა.შ) დაინტერესებული პირის პერსონალური მონაცემები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 12^3

1. დაინტერესებული პირის მიერ ამ წესის 12^5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის თაობაზე სააგენტოსათვის ავტორიზებული პირის მეშვეობით მიმართვის შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფს:
ა) ავტორიზებული პირის მიერ კომპიუტერული პროგრამით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით მისთვის გადაგზავნილი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მომსახურების გაწევისათვის საჭირო საქმის წარმოების დაწყებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისა და იარაღის რეგისტრაციისათვის განსაზღვრული დებულებები;

ბ) სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ასევე შესრულებული დოკუმენტების ავტორიზებული პირისათვის კომპიუტერული პროგრამით ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით გადაგზავნას;

გ) საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენის, მომსახურების გაწევაზე უარის თქმის ან განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ავტორიზებული პირისათვის კომპიუტერული პროგრამით ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით (გარდა ამ წესით განსაზღვრული შემთხვევებისა)

გადაგზავნას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას სააგენტო დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამით ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით ავტორიზებული პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტის გადაგზავნის გზით. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციისათვის ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის სხვა საშუალებები (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, ფოსტა და ა.შ).

3. სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ მოთხოვნიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, დაინტერესებული პირი აღნიშნულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას სააგენტოში წარადგენს ავტორიზებული პირის მეშვეობით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს:

ა) დოკუმენტების ელექტრონული სახით წარდგენა ავტორიზებული პირის მეშვეობით;

ბ) დოკუმენტების მატერიალური სახით წარდგენა სააგენტოში;

გ) საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გარემოების დადგენის მიზნით სააგენტოში გამოცხადება.

4. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის ათვლა დაიწყება დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს მოთხოვნის სრულყოფილად შესრულების შემდეგ.

5. დაინტერესებული პირის განცხადება არ დაკმაყოფილდება ან დარჩება განუხილველი, თუ:

ა) არ დასტურდება დაინტერესებული პირის მიერ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სახეობის გამოცდის ჩაბარების ფაქტი (გარდა ამავე კანონის 27^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა);

ბ) დაინტერესებული პირი არ აკმაყოფილებს იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისათვის/იარაღის რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

დ) დაინტერესებული პირი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ამ მუხლის მე-9 პუნქტების შესაბამისად სააგენტოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნას;

ე) გადახდილი არ არის მოსაკრებელი ან/და მომსახურების საფასური;

ვ) დაინტერესებული პირი უარს აცხადებს ფოტოსურათის გადაღებაზე ან ვერ ხორციელდება ფოტოსურათის გადაღება;

ზ) დაინტერესებული პირი უარს აცხადებს ხელმოწერის ელექტრონული დაფის მეშვეობით ხელმოწერის შესრულებაზე ან ვერ ხორციელდება ელექტრონული ხელმოწერის შესრულება;

თ) ვერ ხორციელდება დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;

ი) მომსახურების გაწევის თობაზე სააგენტოს მიმართა არაუფლებამოსილმა პირმა;

კ) ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ ხორციელდება მომსახურების გაწევა;

ლ) დაინტერესებული პირის მიერ შეძენილ იარაღზე არ არის ჩატარებული ბალისტიკური შემოწმება;

მ) მოთხოვნის მომენტისათვის ავტორიზებული პირის მიერ რეალიზებული იარაღის შესახებ ინფორმაცია ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით არ არის წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოში;

ნ) სააგენტოს მიერ ვერ ხორციელდება მომსახურების გაწევისათვის და შესაბამისი საქმის წარმოებისათვის საჭირო გარემოებების სრულყოფილად დადგენა;

ო) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.

6. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დაინტერესებულ პირზე იარაღის შეძენის ნებართვის გაცემის/რეგისტრაციის განხორციელებაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უარის თქმის ან განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი, სააგენტო დადგენილი წესით გასცემს იარაღის შეძენის ნებართვას იარაღის რეგისტრაციის გზით და ამზადებს იარაღის რეგისტრაციის მოწმობას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სააგენტო კომპიუტერულ პროგრამაში ტვირთავს იარაღის რეგისტრაციის ბარათს, რომელსაც ავტორიზებული პირი ამ წესის 12^2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ამოწმებს/ადასტურებს და მატერიალური ფორმით გადასცემს დაინტერესებულ პირს. „იარაღის რეგისტრაციის ბარათი“ ადასტურებს სააგენტოს მიერ დაინტერესებულ პირზე იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისა და იარაღის რეგისტრაციის ფაქტს.

8. იარაღის რეგისტრაციის ბარათი ძალაშია დაინტერესებული პირის მიერ იარაღის რეგისტრაციის მოწმობის მიღებამდე, მაგრამ არა უგვიანეს იარაღის რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღისა. მოქმედების ვადაში, იარაღის რეგისტრაციის ბარათი უთანაბრდება იარაღის რეგისტრაციის მოწმობას. დაინტერესებული პირი ვალდებულია იარაღის ტარებისას, იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის აღებამდე, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად თან ატაროს იარაღის რეგისტრაციის ბარათი.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სააგენტოს მიერ იარაღის შენახვის უფლებით შეძენის ნებართვის გაცემისას, სააგენტო დაინტერესებულ პირს ავტორიზებული პირის მეშვეობით უგზავნის ამ წესით დადგენილ დროებით მოწმობას ფორმა N2 (დანართი N4). ავტორიზებული პირი გადასცემს დაინტერესებულ პირს დროებით მოწმობას ელექტრონული პროგრამიდან ამობეჭდილი სახით რომელიც მოწმდება/დასტურდება ავტორიზებული პირის მიერ ამ წესის 12^2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 12^4

1. დაინტერესებული პირის მიერ 12^5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის თაობაზე სააგენტოსათვის ავტორიზებული პირის მეშვეობით მიმართვის შემთხვევაში, ავტორიზებული პირი უზრუნველყოფს:
ა) დაინტერესებული პირის ინფორმირებას მოთხოვნილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების, წარმოსადგენი დოკუმენტების, გადასახდელი მომსახურების საფასურებისა და მოსაკრებლის ოდენობის, ასევე, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ;

ბ) მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადების შემტანი დაინტერესებული პირის იდენტიფიკაციას პირადობის მოწმობის გამოყენებით;

გ) დაინტერესებული პირის მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილი დოკუმენტების ვიზუალურ დათვალიერებას, ხოლო დათვალიერების შედეგად დოკუმენტებში ჩანაწერების, ბეჭდების, შტამპების, ხელმოწერების შესაძლო გადაკეთებისა და გაყალბების ან ფოტოსურათების შეცვლის ნიშნების

აღმოჩენის შემთხვევაში – შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდებას;

დ) მის მიერ იარაღის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტების კომპიუტერული პროგრამით ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით სააგენტოსათვის მიწოდებას;

ე) დაინტერესებული პირის მიერ მასთან წარდგენილი განცხადებისა და სხვა დოკუმენტების სააგენტოსათვის კომპიუტერული პროგრამის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალების მეშვეობით დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა, დადგენილი წესით გაგზავნას;

ვ) სააგენტოს მიერ იარაღის რეგისტრაციის მოწმობაში ასახვის მიზნით:

ვ.ა) დაინტერესებული პირის ფოტო გადაღებას;

ვ.ბ) ხელმოწერის ელექტრონული დაფის მეშვეობით დაინტერესებული პირის ელექტრონული ხელმოწერის დაფიქსირებას;

ზ) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის სააგენტოსათვის ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით მიწოდებას;

თ) სააგენტოს მიერ კომპიუტერული პროგრამით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით მისთვის გაგზავნილი ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტის დაინტერესებული პირისათვის გაცნობას, ხოლო დაინტერესებული პირის მოთხოვნის ან ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში ელექტრონული დოკუმენტის ამობეჭდვას, ამონაბეჭდის დადგენილი წესით დამოწმებას ან/და დადასტურებასა და დაინტერესებული პირისათვის გადაცემას;

ი) ამ პუნქტით „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტის დაინტერესებული პირისთვის გაცნობის/გადაცემის თაობაზე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა, სააგენტოს ინფორმირებას;

კ) დაინტერესებული პირის მიერ მატერიალური ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვასა და 30 კალენდარული დღის განმავლობაში სააგენტოსთვის გადაცემას;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

2. თუ ავტორიზებული პირი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების დაინტერესებული პირისათვის (მისი წასვლის, დოკუმენტების მიღებაზე უარის თქმის ან სხვა მიზეზის გამო) ადგილზე გაცნობას/გადაცემას, იგი ვალდებულია აღნიშნულის თობაზე დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა, აცნობოს სააგენტოს კომპიუტერული პროგრამით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დოკუმენტების დაინტერესებული პირისათვის გაცნობა ხორციელდება ელექტრონული ფორმით, განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან მატერიალური ფორმით, რეგისტრაციის ან განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ფოსტის მეშვეობით დოკუმენტის გაგზავნის გზით.

3. ავტორიზებული პირი არ განახორციელებს დაინტერესებული პირის განცხადების სააგენტოში განსახილველად გადაგზავნას და აღნიშნულის თაობაზე აცნობებს დაინტერესებულ პირს, თუ:

ა) დაინტერესებული პირი არ აკმაყოფილებს ამ წესის 12^5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) იარაღი არ არის შეძენილი ავტორიზებული პირისაგან;

გ) დაინტერესებული პირის მიერ არ არის გადახდილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების საფასური და მოსაკრებელი;

დ) ავტორიზებული პირი უარს აცხადებს ამ თავით გათვალისწინებული წესით მომსახურების

გაწევაზე.

4. სააგენტო თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევაში ეკისრება ავტორიზებულ პირს. სააგენტო არ აგებს პასუხს ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 12[5]

1. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ავტორიზებული პირის მეშვეობით მიმართოს სააგენტოს იმავე პირისაგან შეძენილი იარაღის შეძენის ნებართვის გაცემის/რეგისტრაციის მოთხოვნით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის დაინტერესებული პირი შესაძლებელია იყოს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც უფლება აქვს შეიძინოს იარაღი და მისი ძირითადი ელემენტები, ჩაბარებული აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი გამოცდა ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში (გარდა იმ პირებისა, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან გამოცდის ჩაბარებისაგან) და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ავტორიზებული პირის მეშვეობით სააგენტოსათვის მიმართვისას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ბინადრობის მოწმობა);

გ) მოსაკრებლისა და მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისათვის/რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტაცია.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული განცხადებისა და სხვა დოკუმენტაციის ავტორიზებულ პირთან წარდგენა ხორციელდება მატერიალური სახით, გარდა მოსაკრებლისა და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა, რომლის წარმოდგენაც დასაშვებია ელექტრონული სახითაც. დაინტერესებული პირის ერთი განცხადებით დასაშვებია მხოლოდ ერთი ერთეული იარაღის შეძენის ნებართვის გაცემის/რეგისტრაციის მოთხოვნა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გასაწევად, გარდა იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისათვის, იარაღის რეგისტრაციისათვის, იარაღის დროებითი მოწმობისა და იარაღის რეგისტრაციის მოწმობის გაცემისათვის საჭირო კანონით განსაზღვრული მოსაკრებლისა და საფასურებისა, სავალდებულოა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ჩ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასური გადახდა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად, დაინტერესებული პირის მომართვის შემთხვევაში, ავტორიზებული პირის მიერ კომპიუტერულ პროგრამაში ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებაში, აიტვირთება მატერიალური ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე დაინტერესებული პირის ფოტოსურათი და ელექტრონული ხელმოწერა, ხოლო კომპიუტერულ პროგრამის შესაბამის ველებში შეიტანება, ავტორიზებული პირის მიერ რეალიზებულ იარაღთან, იარაღის შემძენთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

მუხლი 12[6]

1. ამ თავით განსაზღვრული წესით იარაღის შეძენის ნებართვის გაცემისა და იარაღის რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტო ამზადებს იარაღის რეგისტრაციის მოწმობას, რომელიც დაინტერესებული პირს შესაძლებელია გადაეცეს:

ა) ფოსტის მეშვეობით;

ბ) სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში.

2. იარაღის რეგისტრაციის მოწმობის გადაცემის კონკრეტული საშუალების გამოყენების თაობაზე უნდა მიეთითოს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ განცხადებაში ან/და ავტორიზებული პირის მიერ კომპიუტერულ პროგრამაში, დაინტერესებული პირის ზეპირი მითითების საფუძველზე. მიუხედავად იარაღის რეგისტრაციის მოწმობის გადაცემის საშუალებისა, იარაღის რეგისტრაციის მოწმობა უნდა ჩაბარდეს უშუალოდ დაინტერესებულ პირს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საშუალების შერჩევის შემთხვევაში ავტორიზებული პირი დაინტერესებული პირის მითითების შესაბამისად კომპიუტერულ პროგრამაში უთითებს სააგენტოს იმ სტრუქტურულ ერთეულს (შემდგომში – შესაბამისი სტრუქტურული ერთეული), საიდანაც დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს იარაღის მოწმობის გამოტანას მისი ფოსტის მეშვეობით მისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში..

4. ფოსტის მეშვეობით იარაღის რეგისტრაციის მოწმობა იგზავნება განცხადებაში ან/და კომპიუტერულ პროგრამაში მითითებულ მისამართზე, დაინტერესებული პირისათვის სასურველ დროს, რომელიც შეირჩევა სააგენტოს მიერ წინასწარ განსაზღვრული გრაფიკიდან (მაგრამ არაუგვიანეს იარაღის რეგისტრაციიდან მე-5 სამუშაო დღისა). გზავნილის ადრესატისათვის გადასაცემად საჭირო კომუნიკაციის დამყარების მიზნით სააგენტო უზრუნველყოფს განცხადებაში ან/და კომპიუტერულ პროგრამაში მითითებული მისამართის, დროისა და დაინტერესებული პირის ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციის საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას. ფოსტის მეშვეობით იარაღის რეგისტრაციის მოწმობა იგზავნება ერთჯერადად, ამასთან იარაღის მოწმობის დაინტერესებული პირისათვის ფოსტის მეშვეობით ჩაუბარებლობის შემთხვევაში (მიუხედავად ჩაუბარებლობის მიზეზისა), მოწმობა ბრუნდება სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ პირს ეგზავნება მის მიერ განცხადებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით. ფოსტის მეშვეობით იარაღის მოწმობის ჩაუბარებლობის შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვალდებულია იარაღის რეგისტრაციის მოწმობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, არაუგვიანეს იარაღის რეგისტრაციიდან მე-10 სამუშაო დღისა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საშუალების შერჩევის შემთხვევაში, ავტორიზებული პირი დაინტერესებული პირის მითითების შესაბამისად კომპიუტერულ პროგრამაში უთითებს სააგენტოს იმ სტრუქტურულ ერთეულს, საიდანაც დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს იარაღის რეგისტრაციის მოწმობის გატანას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვალდებულია იარაღის რეგისტრაციის მოწმობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში იარაღის რეგისტრაციის დღიდან არაუგვიანეს მე-10 სამუშაო დღისა.

6. თუ იარაღის რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დაინტერესებულ პირს ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით ვერ ჩაბარდა იარაღის რეგისტრაციის მოწმობა იარაღის რეგისტრაცია და იარაღის მოწმობა კარგავს იურიდიულ ძალას, ამასთან მომსახურება ჩაითვლება გაწეულად, ხოლო გადახდილი მოსაკრებელი და მომსახურების საფასური უკან არ ბრუნდება. დაინტერესებული პირი იმ უფლებამოსილებას, რომელიც მას მიენიჭა იარაღის რეგისტრაციის შედეგად, კარგავს ამ პუნქტით განსაზღვრული გარემოებების წარმოშობის დღიდან. გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენა შესაძლებელია შესაბამისი საფუძვლის არსებობისას ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების გზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

თავი I[2]

მუხლი 12[7]

1. პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი იწვევს მის სახელზე არსებული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმებას ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
2. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზია (ნებართვა) არ უქმდება ნასამართლობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე–191-ე, 192[1], 192[2], 195[1], 196-ე, 198[1], 199-ე, 201-ე, 202-ე, 203-ე, 204[1], 205-ე, 206-ე–208-ე და 213-ე მუხლებით, 216-ე მუხლის პირველი ნაწილით, 217-ე, 219-ე, 220-ე, 220[1] და 276-ე მუხლებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 333-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 337-ე, 341-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შემთხვევაში.

3. მსჯავრდებული, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ვალდებულია გაასხვისოს მასზე რეგისტრირებული იარაღი, მისი ძირითადი ელემენტები და საბრძოლო მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვა დაკარგავს იურიდიულ ძალას და მოხდება იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის ჩამორთმევა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12[8]

1. სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომ – სამინისტრო) მიღების შემდეგ ამუშავებს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი (შემდგომ – საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი).
2. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ[5]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აღნიშნულის შესახებ ატყობინებს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს მსჯავრდებულის იურიდიული მისამართის (რეგისტრაციის ადგილის) მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაში, მათ შორის, მიეთითება მსჯავრდებულის სახელზე რეგისტრირებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი. შეტყობინებას, აგრეთვე, ერთვის პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს ეგზავნება იარაღის შენახვის ადგილის და არა მსჯავრდებულის იურიდიული მისამართის (რეგისტრაციის ადგილის) მიხედვით, თუ:

ა) მსჯავრდებული რეგისტრირებულია მისამართის გარეშე;

ბ) შეუძლებელია მსჯავრდებულის რეგისტრაციის ადგილის იდენტიფიცირება;

გ) მსჯავრდებულის რეგისტრაციის ადგილზე შეზღუდულია საქართველოს იურისდიქცია.

5. თუ სარეგისტრაციო ჩანაწერში მსჯავრდებულის სახელზე რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილად მითითებულია რამდენიმე ადგილი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს ეგზავნება იარაღის შენახვის ერთ-ერთი ადგილის მიხედვით.

6. სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში, აღნიშნულ შეტყობინებას ფოსტის მეშვეობით, რეგისტრაციის ადგილის, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – იარაღის შენახვის ადგილის მიხედვით უგზავნის მსჯავრდებულს და განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასხვისებისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12^{9}

1. თუ მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის სახედ გამოყენებულია თავისუფლების აღკვეთა, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ამ წესის 12^{8} მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებას უგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს (შემდგომ – სპეციალური პენიტენციური სამსახური).
2. სპეციალური პენიტენციური სამსახური უზრუნველყოფს შეტყობინების მსჯავრდებულისთვის გონივრულ ვადაში ჩაბარებას და ჩაბარების დამადასტურებელი შეტყობინების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსთვის გაგზავნას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12^{10}

1. თუ მსჯავრდებულს შეტყობინება ვერ ჩაბარდა (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), შეტყობინება ბრუნდება ფოსტაში და გონივრულ ვადაში განმეორებით ეგზავნება მას.
2. შეტყობინების მსჯავრდებულისთვის ფოსტის მეშვეობით განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შეტყობინება ბრუნდება სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო გამოქვეყნების მიზნით.

3. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე, უფლებამოსილი პირი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას, რის შემდეგაც შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად.

4. ამ წესის 12^{8} მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების საჯარო გამოქვეყნება ხდება მისი სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში დაბრუნებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

5. შეტყობინება მსჯავრდებულისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი ამ წესის შესაბამისად სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

6. სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურე უფლებამოსილია პირადად უზრუნველყოს მსჯავრდებულისთვის შეტყობინების ჩაბარება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12^{11}

1. მსჯავრდებული ვალდებულია შეტყობინების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში გაასხვისოს მასზე რეგისტრირებული იარაღი, მისი ძირითადი ელემენტები და საბრძოლო მასალა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. რეგისტრირებული იარაღის გასხვისება შესაძლებელია:

ა) იარაღის გადაფორმებით;

ბ) იარაღის ჩამოწერით;

გ) იარაღის საკომისიო წესით ჩაბარებით;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებით.

3. იარაღზე საკუთრების უფლების სხვა პირზე გადაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12^{12}

1. სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის გასხვისებისთვის მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლისთანავე, აღნიშნულის შესახებ ატყობინებს სააგენტოს.
2. სააგენტო, შეტყობინების მიღებისთანავე, ამოწმებს მსჯავრდებულის სახელზე რეგისტრირებულია

თუ არა იარაღი.

3. თუ ამ წესით გათვალისწინებული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მსჯავრდებულის სახელზე კვლავ ირიცხება რეგისტრირებული იარაღი, ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უქმდება იარაღის რეგისტრაცია. აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტო აწვდის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

4. სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯავრდებულის სახელზე აღარ ირიცხება რეგისტრირებული იარაღი.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, უფლებამოსილი პოლიციელი უზრუნველყოფს იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის ჩამორთმევას, რის შესახებაც ადგენს ოქმს.

5[1]. ჩამორთმეული იარაღი, მისი ძირითადი ელემენტები და საბრძოლო მასალა გადაეცემა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტს.

6. ჩამორთმეული იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის განკარგვა ხდება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1013 ბრძანებით დადგენილი წესით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 26 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.03.2024 წ.

თავი I[3]
რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილზე შემოწმებისა და იარაღის პოლიციის დანაყოფში წარდგენის წესი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12[13]

1. დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, პოლიციელი უფლებამოსილია განახორციელოს შეძენაზე, შენახვაზე, ტარებაზე, გამოყენებაზე, გადატანა-გადაზიდვასა და გადაგზავნაზე კონტროლი.
2. იარაღის ბრუნვის კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს, მათ შორის, რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილზე შემოწმებით, საჭიროებისამებრ, მაგრამ თითოეულ შენახვის ადგილზე არაუმეტეს წელიწადში 4-ჯერ.

3. იარაღის შენახვის ადგილზე შემოწმება (შემდგომ – შემოწმება) ხორციელდება მესაკუთრის თანხმობით.

4. თუ იარაღი იურიდიული პირის საკუთრებაა, შემოწმება ხორციელდება ამ იურიდიული პირის წარმომადგენლის თანხმობით. იურიდიული პირის წარმომადგენელზე ვრცელდება მესაკუთრის ამ წესით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12[14]

1. იარაღის ბრუნვის კონტროლის მიზნით პოლიციელს უფლება აქვს, რეგისტრირებული იარაღი შენახვის ადგილზე შეამოწმოს კვირის ნებისმიერ დღეს, 08:00 სთ-დან 22:00 სთ-მდე მონაკვეთში.
2. პოლიციელი უფლებამოსილია მესაკუთრეს წინასწარ აცნობოს შემოწმების თარიღი და დრო. მესაკუთრესთან დაკავშირების მიზნით, პოლიციელი უფლებამოსილია სააგენტოს მონაცემთა ბაზაში (შემდგომ – მონაცემთა ბაზა) გადაამოწმოს მისი ტელეფონის ნომერი.

3. პოლიციელი უფლებამოსილია შემოწმების თარიღის განსაზღვრისას გაითვალისწინოს მესაკუთრის დღის რეჟიმი და მხედველობაში მიიღოს მისი შესაძლებლობა, კონკრეტულ დღესა და დროს იმყოფებოდეს იარაღის შენახვის ადგილზე.

4. სატელეფონო ან პირადი გასაუბრებისას პოლიციელი მესაკუთრეს განუმარტავს:

ა) შემოწმების სამართლებრივ საფუძველს;

ბ) შემოწმების ნებაყოფლობითობას;

გ) შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესამოწმებელი იარაღის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში პოლიციის შესაბამის დანაყოფში წარმოდგენის ვალდებულებას, რომლის დარღვევაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 180^{1} მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და იწვევს სამართალდამრღვევის სახელზე რეგისტრირებული იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის კონფისკაციას.

5. მესაკუთრესთან სატელეფონო (დანართი №8) ან პირადი გასაუბრების (დანართი №9) შემდეგ პოლიციელი ადგენს ოქმს. ოქმი უნდა შედგეს მაშინაც, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს შემოწმებაზე.

6. პირადი გასაუბრების ოქმი (დანართი №9) დგება ორ ეგზემპლარად. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი და მესაკუთრე. ოქმის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 26 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.03.2024 წ.

მუხლი 12^{15}

1. შემოწმების მიზნით იარაღის შენახვის ადგილზე მისული პოლიციელი უფლებამოსილია თან იქონიოს და საჭიროების შემთხვევაში იხელმძღვანელოს შესამოწმებელი იარაღების ნუსხით, რომელშიც მითითებულია შესამოწმებელი იარაღების რაოდენობა, მარკა, მოდელი, სახეობა, ტიპი, კალიბრი (ყალიბი), საიდენტიფიკაციო ნომერი, აგრეთვე, ინფორმაცია იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის სახისა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის კატეგორიის შესახებ.
2. შემოწმება ტარდება მესაკუთრის ან მის მიერ უფლებამოსილი ქმედუნარიანი პირის თანდასწრებით. აღნიშნული პირების მოთხოვნის შემთხვევაში შემოწმებას აგრეთვე შეიძლება დაესწროს ქმედუნარიანი მესამე პირი. ამ პუნქტით განსაზღვრულ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები უნდა მიეთითოს იარაღის შემოწმების ოქმში (დანართი №10).

3. პოლიციელი ვალდებულია შემოწმების დაწყებამდე მესაკუთრეს/მის მიერ უფლებამოსილ პირს განუმარტოს ამ წესის 12^{14} მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებები.

4. შემოწმების მიზნით იარაღის შენახვის ადგილზე მისული პოლიციელი უფლებამოსილია, მესაკუთრის/მის მიერ უფლებამოსილი პირის თანხმობით შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში, სადაც ინახება იარაღი ან სთხოვოს მესაკუთრეს/მის მიერ უფლებამოსილ პირს დაკეტილი სათავსის ან/და კარის გაღება და შეამოწმოს იარაღის შენახვის პირობების ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5. შემოწმების პროცესში მესაკუთრის/მის მიერ უფლებამოსილი პირის იმგვარი ქმედება, რაც გამორიცხავს პოლიციელის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებას, ითვლება შემოწმებაზე უარის თქმად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12^{16}

1. შემოწმების პროცესში პოლიციელი და მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან დაიცვან იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, დარწმუნდნენ რომ შესამოწმებელი იარაღი განმუხტული და საბრძოლო მასალისგან განცალკევებულია.
2. შემოწმების პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე მესაკუთრეს პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. შემოწმების პროცესში იარაღის გადაკეთების შესახებ გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში პოლიციელი აღნიშნულ იარაღს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლუქავს და

ექსპერტიზისთვის გადასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს.

4. შემოწმების დასრულების შემდეგ პოლიციელი ადგენს იარაღის შემოწმების ოქმს (დანართი №10), რომელშიც აისახება შემოწმების შედეგები. ოქმი დგება ორ ეგზემპლარად. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი და მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი. ოქმის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს.

5. თუ მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი პოლიციელის იარაღის შენახვის ადგილზე შემოწმების მიზნით გამოცხადების შემდეგ უარს აცხადებს შემოწმებაზე, შემოწმება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული შემოწმება უნდა შეწყდეს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იარაღის შემოწმების ოქმში (დანართი №10) მიეთითება შესაბამისად შემოწმების არ დაწყების ან შეწყვეტის საფუძველი. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი და მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

7. თუ შემოწმება ვერ შედგა ამ მუხლის მე-5 პუნქტით ან ამ წესის 12^{15} მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მესაკუთრე ვალდებულია პოლიციელის მიერ მოთხოვნილი რეგისტრირებული იარაღი პოლიციის შესაბამის დანაყოფში წარადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 დღეში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 12^{17}

1. თუ შემოწმებაზე მისულ პოლიციელს იარაღის შენახვის ადგილზე არ დახვდა მესაკუთრე/მის მიერ უფლებამოსილი პირი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი მესაკუთრეს უგზავნის შეტყობინებას (დანართი №11) ფოსტის მეშვეობით და განუსაზღვრავს 7-დღიან ვადას მის მიერ მოთხოვნილი იარაღის პოლიციის შესაბამის დანაყოფში წარმოსადგენად.
2. მესაკუთრეს შეტყობინება ეგზავნება იურიდიული მისამართის (რეგისტრაციის ადგილის) მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. მესაკუთრეს შეტყობინება ეგზავნება რეგისტრირებული იარაღის შენახვის ადგილის მიხედვით, თუ:

ა) მესაკუთრე რეგისტრირებულია მისამართის გარეშე;

ბ) შეუძლებელია მესაკუთრის რეგისტრაციის ადგილის იდენტიფიცირება;

გ) მესაკუთრის რეგისტრაციის ადგილზე შეზღუდულია საქართველოს იურისდიქცია.

4. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს შეტყობინების მიღებაზე, უფლებამოსილი პირი აკეთებს შესაბამის აღნიშნავს, რის შემდეგაც შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად.

5. თუ მესაკუთრეს შეტყობინება ვერ ჩაჰბარდა, შეტყობინება ბრუნდება ფოსტაში და გონივრულ ვადაში განმეორებით იგზავნება.

6. შეტყობინების მესაკუთრისთვის ფოსტის მეშვეობით განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შეტყობინება ბრუნდება სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო გამოქვეყნების მიზნით.

7. შეტყობინება მესაკუთრისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი დადგენილი წესით სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

8. სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურე უფლებამოსილია პირადად უზრუნველყოს მესაკუთრისთვის შეტყობინების ჩაბარება.

9. შეტყობინების ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მესაკუთრე ვალდებულია მოთხოვნილი იარაღები შემოწმების მიზნით წარადგინოს პოლიციის შესაბამის დანაყოფში.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტითა და ამ წესის 12^{16} მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 180^{1} მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და იწვევს სამართალდამრღვევის სახელზე რეგისტრირებული იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის კონფისკაციას.

11. ჩამორთმეული იარაღი, მისი ძირითადი ელემენტები და საბრძოლო მასალა გადაეცემა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 26 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.03.2024 წ.

მუხლი 12^{18}

1. იარაღის შენახვის ადგილიდან დროებით პოლიციის შესაბამის დანაყოფში მიტანა და შენახვის ადგილზე დაბრუნება ხორციელდება სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი შეტყობინების (დანართი №11) საფუძველზე.
2. მესაკუთრე ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მისაღებად გამოცხადდეს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში.

3. მესაკუთრე ვალდებულია იარაღის პოლიციის შესაბამის დანაყოფში მიტანისას და მისი შენახვის ადგილზე დაბრუნებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იარაღის გადატანისა და გადაზიდვის წესი.

4. თუ მესაკუთრეს 5-ზე მეტი იარაღი აქვს, პოლიციელის თანხმობის შემთხვევაში, ამ იარაღების პოლიციის შესაბამის დაწესებულებაში შესამოწმებლად წარმოდგენა შეიძლება მოხდეს რამდენიმე ეტაპად. პოლიციელი უფლებამოსილია განსაზღვროს წარმოსადგენი იარაღების რიგითობა.

5. პოლიციის შესაბამის დანაყოფში იარაღის შემოწმება ხორციელდება ამ წესის 12^{15} მუხლის პირველი პუნქტისა და 12^{16} მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

6. პოლიციის შესაბამის დანაყოფში იარაღები მოწმდება მესაკუთრის თანდასწრებით. შემოწმების დასრულების შემდეგ მესაკუთრე ვალდებულია წარმოდგენილი იარაღები დააბრუნოს შენახვის ადგილზე.

7. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს პოლიციის შესაბამის დანაყოფში წარმოდგენილი იარაღების შემოწმებაზე, აღნიშნული მიიჩნევა შემოწმების მიზნით იარაღის პოლიციის შესაბამის დანაყოფში წარდგენის ვალდებულების დარღვევად და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 180^{1} მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად იწვევს იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის კონფისკაციას.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტითა და ამ წესის 12^{17} მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პოლიციელს გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის სახით იარაღის, მისი ძირითადი ელემენტებისა და საბრძოლო მასალის კონფისკაციის დაკისრების შესახებ და უზრუნველყოფს მის აღსრულებას.

9. ჩამორთმეული იარაღი, მისი ძირითადი ელემენტები და საბრძოლო მასალა გადაეცემა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 26 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.03.2024 წ.

თავი II
იარაღის ტარების წესი

მუხლი 13
იარაღის ტარების უფლების მქონე პირი პირადად არის პასუხისმგებელი მისი დაცვისა და მოვლისათვის, აგრეთვე ვალდებულია დაიცვას იარაღის ბრუნვის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

მუხლი 14
1. აკრძალულია იარაღის ტარება სპეციალური აღჭურვილობის გამოყენების გარეშე.
2. სანადირო იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ვაზნებისგან განცალკევებულ მდგომარეობაში, რა დროსაც:

ა) იარაღი უნდა იყოს არასრულად დაშლილი, ან;

ბ) იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებზე (ტირი, სასროლეთი, სასროლო-სანადირო სტენდი, ნადირობისათვის დაშვებული ადგილები).

4. დაუშვებელია გაზის (აირის) იარაღის ღიად, გამოსაჩენად ტარება, ასევე, საჯარო სივრცეში მისი დემონსტრირება. დემონსტრირებად არ ჩაითვლება გაზის (აირის) იარაღის საჯარო სივრცეში თავდაცვის მიზნით გამოყენება, ასევე, კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელთან ერთად გაზის (აირის) იარაღის ტარება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.

მუხლი 14[1]
1. დაუშვებელია ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ფიზიკური პირის მიერ ტარება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იარაღის ტარება გულისხმობს ისეთი გარემოების არსებობას, როდესაც პირს თან აქვს აღნიშნული იარაღი – უჭირავს ხელში, მიმაგრებული აქვს სხეულზე ან ინახავს ტანსაცმელში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 15
აკრძალულია იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაცემა სხვა პირთათვის ან/და ამოღება (ჩვენება) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დემონსტრირების მიზნით, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 16
იარაღისა და საბრძოლო მასალის დაკარგვის ან გატაცების შემთხვევაში, იარაღის მესაკუთრე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფს.

მუხლი 17
იარაღის ტარების უფლების მქონე იარაღის მესაკუთრე ან მოსარგებლე იარაღის ტარებისას ვალდებულია პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად იქონიოს B, C ან D კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა, ხოლო ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევაში – იარაღის რეგისტრაციის ბარათი.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

თავი III

მუხლი 18

1. იარაღი და საბრძოლო მასალა უნდა ინახებოდეს ისეთ მდგომარეობასა და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამოირიცხება გაუთვალისწინებელი (უნებლიე) გასროლა და იარაღთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა. იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვა უნდა მოხდეს დაკეტილ სათავსოში ან/და იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

2. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებების/ ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული იარაღი (გარდა სამსახურებრივ-საშტატო სტატუსით უფლებამოსილ პირზე განპიროვნებული იარაღისა, რომელიც არ ინახება დაწესებულებაში) და საბრძოლო მასალა უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ საცავში არსებულ ცეცხლგამძლე ლითონის კარადაში, რითიც გამოირიცხება იარაღსა და საბრძოლო მასალასთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა. იარაღის აღრიცხვიანობისათვის (იარაღის საცავიდან გატანა-შემოტანისათვის) უნდა წარმოებდეს სპეციალური ჟურნალი, რომელიც იქნება აკინძული და დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.

მუხლი 19

პირები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადებას, შეკეთებას ან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობას, ინახავენ იარაღსა და საბრძოლო მასალას საწარმოს ტერიტორიაზე იარაღის შენახვისათვის დადგენილი ყველა აუცილებელი პირობის დაცვით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

თავი IV

იარაღის, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 20

1. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა ხორციელდება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

2. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა დასაშვებია სააგენტოს მიერ შესაბამისი ნებართვის გაცემიდან სამი თვის განმავლობაში.

3. იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაჩქარებული მომსახურების საფასური გადაიხდევინება მხოლოდ ერთ ერთეულ იარაღზე, მიუხედავად მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადებაში მითითებული და ერთდროულად გადასატანი-გადასაზიდი ან გადასაგზავნი იარაღების რაოდენობისა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 20[1]

1. ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვა ან გადაგზავნა დასაშვებია თეატრალურ წარმოდგენაში, კინოჩვენებაში, სატელევიზიო ჩვენებაში, ისტორიულ რეკონსტრუქციაში, აღლუმსა და სპორტულ ღონისძიებებში გამოყენების მიზნით. ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვა ან გადაგზავნა აგრეთვე დასაშვებია ექსპონირების მიზნით.

2. ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის გადატანა-გადაზიდვა ან გადაგზავნა დასაშვებია მხოლოდ განმუხტულ მდგომარეობაში, ვაზნებისგან განცალკევებულად, რაც გამორიცხავს მისი დაუყოვნებლივი გამოყენების შესაძლებლობას.

3. კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვა ან გადაგზავნა დასაშვებია, თუ მის ლულაში დენთი, ტიზი და ჭურვი არ არის მოთავსებული.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნით ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნისას მფლობელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მიზნის არსებობის დამადასტურებელი, ღონისძიების ჩამტარებელი უწყების/დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გამოყენებაც დასაშვებია ერთჯერადად.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისგან განსხვავებული მიზნით ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნისას მფლობელი ვალდებულია წინასწარ მიმართოს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს განცხადებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის დრო, გადამტანი პირის ვინაობა, მარშრუტი და ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის რაოდენობა, აღნიშნული იარაღის მარკა და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მფლობელს ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღისა და კაჟიანი, ფითილიანი, კაფსულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ განცხადების საფუძველზე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ წერილობითი თანხმობის (ცნობის) გაცემის შემთხვევაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 21

1. ქვეყნის შიგნით საჰაერო ტრანსპორტით იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანის დროს ფიზიკური პირის იარაღი და საბრძოლო მასალა გამგზავრების ადგილის აეროპორტში ფრენის პერიოდში დროებით შესანახად გადაეცემა საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრს და მის მფლობელს უბრუნდება ფრენის დასრულების შემდეგ დანიშნულების ადგილის აეროპორტში.
2. ფიზიკური პირების იარაღისა და საბრძოლო მასალის გადასატანად იარაღის და საბრძოლო მასალის მიღებას, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებას, საჰაერო ხომალდის ბორტზე იარაღის და საბრძოლო მასალის მიტანას და გაცემას ახორციელებს საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრი, რომელიც საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ ინიშნება ფრენის პერიოდში იარაღის შენახვისა და დანიშნულების ადგილის აეროპორტში მიტანისათვის პასუხისმგებელ პირად.

3. გადასაზიდად იარაღის და საბრძოლო მასალის მიღებას, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებას, გამგზავრების ადგილის აეროპორტში სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდის (შემდგომში – საჰაერო ხომალდი) ბორტზე იარაღის მიტანას და დანიშნულების ადგილის აეროპორტში იარაღის და საბრძოლო მასალის გაცემას ახორციელებენ სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლები.

მუხლი 22

1. იარაღი და საბრძოლო მასალა საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს უნდა იყოს მოთავსებული საჰაერო ხომალდის საბარგო (სატვირთო) განყოფილებაში შეფუთულ, დაპლომბილ და ჩაკეტილ ტარაში.
2. საჰაერო ხომალდებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ იზოლირებული საბარგო განყოფილებები, დასაშვებია ფიზიკური პირების კუთვნილი იარაღის და საბრძოლო მასალის გადატანა ეკიპაჟის კაბინაში დაცულ და უსაფრთხო ადგილზე.

მუხლი 23

იარაღის (5 ერთეულზე მეტი ოდენობის) ან/და საბრძოლო მასალის (400 ერთეულზე მეტი ოდენობის) ავტოტრანსპორტით გადაზიდვისას პირი ვალდებულია:
ა) სატრანსპორტო საშუალება მოაწყოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაცვის თანხლება არანაკლებ ორი პირის შემადგენლობით;

გ) იარაღის გადაზიდვა განახორციელოს დალუქული სპეციალური ტარით.

მუხლი 24

იარაღის (5 ერთეულზე მეტი ოდენობის) ან/და საბრძოლო მასალის (400 ერთეულზე მეტი ოდენობის) ორზე მეტი ავტომანქანით გადაზიდვისას მისი თანხლება ხორციელდება ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაცვის არანაკლებ სამკაციანი შემადგენლობით, სპეციალურად გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებით.

მუხლი 25

1. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, ამასთან, უნდა იქნეს გამორიცხული უცხო პირთა მიერ გადასაზიდი იარაღის ვიზუალური დათვალიერებისა და მასთან შეღწევის შესაძლებლობა.

2. სატრანსპორტო საშუალების ან/და იარაღის გადასაზიდი ტარის გახსნის ან დაზიანების ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, შეიარაღებული დაცვის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დაცვა და აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უახლოეს დანაყოფს, შეადგინოს აქტი, მიიღოს სათანადო ზომები შემთხვევის გამომწვევი მიზეზების დასადგენად.

მუხლი 26

1. ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის დროს იარაღი უნდა იყოს განმუხტულ (დაშლილ) მდგომარეობაში საბრძოლო მასალისაგან განცალკევებულად, სპეციალურ ბუდეში ან შალითაში, რითიც უნდა გამოირიცხოს იარაღის დაუყოვნებლივ გამოყენების შესაძლებლობა.

2. აკრძალულია იარაღისა და საბრძოლო მასალის გაგზავნა ფოსტით.

თავი IV[1]

ვაზნის გადამუხტვის შესახებ შეტყობინების წესი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 26[1]

1. ფიზიკური პირი უფლებამოსილია პირადი მოხმარების მიზნით განახორციელოს სანადირო გლუვლულიანი, ხრახნილლულიანი ან კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნის გადამუხტვა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალისა და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადების (წარმოების) ლიცენზიის გარეშე.

2. პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლება აქვს იმ ფიზიკურ პირს, რომელიც ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში ფლობს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 26[2]

1. პირი, რომელსაც სურს პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეატყობინოს შესაბამის პოლიციის დეპარტამენტს (შემდგომ – პოლიციის დანაყოფი).

2. ამ წესით დადგენილი შეტყობინების გარეშე ვაზნის გადამუხტვა წარმოადგენს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დამზადებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება ხორციელდება შესაბამის პოლიციის დანაყოფში წერილობითი განცხადების (დანართი №12) შევსებით, რომლის ერთი ასლიც გადაეცემა განცხადების ავტორს.

4. პირმა განცხადებაში უნდა მიუთითოს:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ) ტელეფონის ნომერი;

გ) საცხოვრებელი ადგილი (მისამართი), ხოლო თუ ვაზნის გადამუხტვა განხორციელდება საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ ადგილას, აგრეთვე, ვაზნის გადამუხტვის ადგილი (მისამართი);

დ) იმ იარაღის მარკა, მოდელი, სახეობა, ტიპი, კალიბრი (ყალიბი), საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის ვაზნის გადამუხტვაც სურს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმდგენს. განცხადებაში მითითებული რომელიმე მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს პოლიციის დანაყოფს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 26[3]

1. ვაზნის გადამუხტვასთან დაკავშირებით მიღებულ განცხადებას (დანართი №12) პოლიციის დანაყოფი უგზავნის საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, ამ წესის 26[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებისა და ვაზნის გადამუხტვის მსურველი პირის მონაცემების საინფორმაციო ბაზაში აღრიცხვის მიზნით.
2. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის პოლიციის დანაყოფისთვის მიწოდებასა და ვაზნის გადამუხტვის მსურველი პირის მონაცემების საინფორმაციო ბაზაში აღრიცხვას.

3. თუ არსებობს ვაზნის გადამუხტვის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამომრიცხავი გარემოება, აღნიშნულის შესახებ საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ატყობინებს პოლიციის დანაყოფს. აღნიშნულ შემთხვევაში პოლიციელი, განცხადების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ვაზნის გადამუხტვის მსურველ პირს ატყობინებს, რომ მას არ აქვს უფლება განახორციელოს ვაზნის გადამუხტვა. თუ არ წარმოშობილა ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, პირი უფლებამოსილია პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვა განახორციელოს განცხადების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის შემდეგ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 26[4]

1. პოლიციის დანაყოფის მოსამსახურე უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს პირი აკმაყოფილებს თუ არა პირადი მოხმარების მიზნით სანადირო გლუვლულიანი, ხრახნილლულიანი ან კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნის გადამუხტვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოწმებისას, მოსამსახურე უფლებამოსილია პირის მიერ განცხადებაში (დანართი №12) მითითებული მონაცემები, მათ შორის, გადაამოწმოს სააგენტოს საინფორმაციო ბაზებში. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეს, საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, წვდომა აქვს იარაღის რეესტრზე.

3. თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პირი არღვევს ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისთვის (თოფისთვის) განკუთვნილი ვაზნის გადამუხტვის შემთხვევებისა), აღნიშნული წარმოადგენს გამოძიების დაწყების საფუძველს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

თავი V
გარდამავალი დებულებები

მუხლი 27

1. ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც იარაღის რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია განახორციელეს 2008 წლის 20 დეკემბრის შემდეგ.
2. 2008 წლის 20 დეკემბრამდე რეგისტრირებული იარაღის, რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის მოქმედების ვადა იურიდიულ ძალას ინარჩუნებს რეგისტრაციისა (ხელახალი რეგისტრაციის) და შესაბამისი მოწმობის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სავალდებულოა ხელახალი რეგისტრაციის გავლა ამ წესის მე–6 მუხლის შესაბამისად.

3. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თადარიგის გადამდგარი უფროსი და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა თავისუფლდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან.

4. თუ იარაღის ბალისტიკური შემოწმებისას დადგინდა, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით წარმოდგენილი იარაღი გრძელი იარაღია, სააგენტო არ ახორციელებს იარაღის რეგისტრაციასთან/ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებასა და ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დადგენას.

5. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი, 2023 წლის 1 აგვისტომდე შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული სანადირო ხრახნილლულიანი (მათ შორის, კომბინირებული) ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური შემოწმების ჩატარების მიზნით სააგენტოსათვის წარდგენის ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვროს 2024 წლის 1 აგვისტო.

6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^2 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი, შესაბამისი იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის მიერ მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული იარაღის რეგისტრაციის ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვროს 2024 წლის 1 აგვისტო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 26 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 27.01.2021წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №51 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 22 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 20.01.2024 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აპრილის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 30.04.2024წ.